ახალი განათლება

2014 წელი, 13-19 თებერვალი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№4 (638) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

„უყურადღებოდ მიტოვებულების“ ხმაურიანი მონიტორინგი

DRI-ს საერთაშორისო კვლევა

„კრიმინალური აქტივობა განსაკუთრებით მოსალოდნელია დახურულ გარემოში, სადაც არ ხდება დამოუკიდებელი ადამიანის უფლებების მონიტორინგი.“

ცოტა ხნის წინ საზოგადოების სერიოზული ყურადღების ქვეშ მოექცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია DRI-ის შშმ ბავშვთა და მოზრდილთა შესახებ 2010-2013 წლებში ჩატარებული კვლევის – „უყურადღებოდ მიტოვებულები“ – შედეგების გამოქვეყნება.

DRI-ის ანგარიში – „უყურადღებოდ მიტოვებულები“ – ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის აღმოფხვრის მსოფლიო კამპანიის ნაწილია: *„ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ საშიშროებებზე, რომელიც დაწესებულებაში მოთავსებისას ნებისმიერ ბავშვს ემუქრება. ეს არის პრაქტიკა, რომელიც იწვევს ქმედუუნარობას, შემაშფოთებელი რაოდენობის ბავშვების დაღუპვას და მივყავართ მილიონობით შშმ ადამიანის სეგრეგაციამდე. ბავშვები ხვდებიან დაწესებულებებში სიღარიბის, შეზღუდული შესაძლებლობისა და სხვა ფაქტორების გამო“.*

საქართველოს ხელისუფლების მიერ, გასული ათწლეულის განმავლობაში, გატარებულ ბავშვზე ზრუნვის რეფორმას ანგარიში ამბიციურს უწოდებს, რომლის შედეგადაც, სახელმწიფო ორგანიზაციების უმრავლესობა შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვებისთვის დაიხურა და მათ ჩაენაცვლა საზოგადოებრივი მომსახურება, რომელიც საშუალებას აძლევს მოწყვლად ოჯახებს ბავშვები სახლში დაიტოვონ.

DRI-ის კვლევებმა ისიც წარმოაჩინა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინსტიტუციონალიზებული ბავშვების უმეტესობა ამ რეფორმის ფარგლებს გარეთ დარჩა: *„ეს ბავშვები ისევ რჩებიან მარგინალიზებულები და განიცდიან ძალადობას. ამიტომ შშმ ბავშვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებიდან გარიყულები რჩებიან“.*

კვლევის განმავლობაში DRI-იმ საქართველოში მოინახულა თბილისის, მახინჯაურის, კოჯრის, სენაკის შშმ ბავშვთა სახლები, ასევე თბილისის №200 სკოლა პანსიონური მომსახურებით შშმ ბავშვებისათვის; მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულება მოზრდილთათვის; ძევრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულება.

მკვლევრებმა ნახეს ბავშვები და მოზრდილები, რომლებიც მთელ სიცოცხლეს უმოძრაოდ ატარებენ. *„ზოგი წინ და უკან ქანაობს, იკვნეტს თითებს და თვალებს აცეცებს. ფსიქოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თვითდაზიანება ხშირად გონების დამთრგუნველი მოწყენილობით და დაწესებულებაში ემოციური ცხოვრების უგულებელყოფითაა გამოწვეული“* – წერია საერთაშორისო კვლევაში. საერთაშორისო კვლევის ავტორები რეზიდენტულ დაწესებულებებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ, ფიზიკურ და ემოციურ ძალადობაზეც საუბრობენ. კვლევის თანახმად, საქართველოში ბევრი ბავშვი მოკლებულია სიცოცხლისთვის აუცილებელ სამედიცინო მკურნალობას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან. ეს კი დისკრიმინაციის სახეს იღებს.

გვერდი 2

ანონსი

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2014

შემდეგ კვირას გამოვა სპეცნომერი – ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი აბიტურიენტებისათვის

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 10 თებერვლის N170 ბრძანებით განისაზღვრა ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთა რეგისტრაციის ვადა – 2014 წლის 14 თებერვლიდან 2014 წლის 21 თებერვლის ჩათვლით, ხოლო ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 6 მარტიდან 2014 წლის 21 მარტის ჩათვლით.

გვერდი 4

სპორტის აკადემია შეცვლილი სახელითა და გაზრდილი სტატუსით

ირაკლი თავაძე

1935 წელს, იმჟამინდელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზკულტურის კათედრად ჩამოყალიბებული, 1938 წლიდან კი ცალკე უმაღლეს სასწავლებლად დაარსებული სპორტის ყოფილი აკადემია „ვარდების რევოლუციას“ შეწირული ერთ-ერთი პირველი გლობალური ინსტიტუტი აღმოჩნდა (მით უფრო – განათლების სფეროში). თავის დროზე ეს ფაქტი, რასაც მაშინ რეორგანიზაცია დაარქვეს, საზოგადოებაში ხმაურიანი აქციების საფუძვლად იქცა – ჭავჭავაძის გამზირზე, აკადემიის შენობის წინ, თვეების განმავლობაში იდგა კარავი, სადაც მოშიმშილეები ღამეებს ათევდნენ, პარალელურად კი ხან კანცელარიის, ხანაც პარლამენტის ან განათლების სამინისტროს შენობასთან საპროტესტო აქციები ეწყობოდა. მართალია, ორგანიზატორებმა ამ ხმაურით აკადემიის აღდგენას ვერ მიაღწიეს, თუმცა ის შენობა რომ არ გაიყიდა (არადა, მოარული ხმებით, მთელი ის რეორგანიზაცია ამ მიზნით წამოიწყეს), შეიძლება, მათ ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად მივიჩნიოთ...

თუმცა, რაც უნდა ყოფილიყო აკადემიის რეორგანიზაციის და გაუქმების მიზეზი, ფაქტი იყო, რომ ილიას უნივერსიტეტი, რომელსაც სპორტის ფაკულტეტის სტატუსით გადასცეს ეს უმაღლესი სასწავლებელი, ვერ შეასრულებდა ქართული სპორტის წინაშე არსებულ ამოცანებს – თავიდან ამ ფაკულტეტზე მხოლოდ 20 მსურველს იღებდნენ სამწვრთნელო განხრით, რაც მეტისმეტად ცოტაა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ესეც შემცირდა. სამწუხაროდ, რეფორმის მესვეურთ დაავიწყდათ, რომ რეორგანიზაცია არსებულის გაუმჯობესებას ითვალისწინებს და არა გაუქმებას. *„ამ აკადემიის გაუქმება იყო დანაშაული ქართული სპორტის წინაშე და არა შეცდომა* – გვეუბნება იმ აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი, სადღეისოდ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე** და აგრძელებს – *ილიას უნივერსიტეტი – ეს პიარის ნაწილი იყო, რომ საპროტესტო ტალღა ჩაეცხროთ, თორემ მისი ხელმძღვანელობა იმთავითვე სკეპტიკურად იყო განწყობილი. ამას ისიც მოწმობს, რომ ეს ფაკულტეტი დღეს მილევად რეჟიმშია, იქ სპორტის მიმართულება აღარ არსებობს, თუმცა იმთავითვე ცხადი იყო, რომ ის ვერც გაწვდებოდა ქვეყნის მასშტაბებს.*

საბედნიეროდ, ვერ მოხერხდა იმ ბაზის გაყიდვა, რაც ამ უმაღლესი სასწავლებლის გაუქმების მოტივაცია იყო. აკადემია კი მიუერთეს ილიას უნივერსიტეტს, მაგრამ მაშინ მას მთელი ინფრასტრუქტურით უნდა გადასცემოდა, რაც არ მოხდა. ეს იმიტომ, რომ ამ ტერიტორიის გაყიდვა იყო ჩაფიქრებული, რასაც ხელი შევუშალეთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც აქციებში მონაწილეობდა. განსაკუთრებით – კურსდამთავრებულებს, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ. პროფესორ-მასწავლებელთა პროტესტი თუ გასაგებია – მათ სამსახური დაკარგეს და ამიტომ გავიდნენ აქციებზე, ეს ხალხი არაფერს კარგავდა, მაგრამ მაინც დაგვიჭირეს მხარი“.

ამ ვითომდა რეფორმის მავნებლობაზე საუბრობს მომავალი უნივერსიტეტის მოვალეობის შემსრულებელი **გურამ ძაგანიაც**: *„ეს რეფორმა კი არა, კატასტროფა იყო. განსაკუთრებით – სპორტის სპეციალისტების მომზადების კუთხით. ილიას უნივერსიტეტმა ეს ფაკულტეტი თანდათან მილევად რეჟიმში გადააქცია და ახლა მესამე-მეოთხე კურსზე ჰყავთ კინკილა სპორტსმენი. 2007 წელს, როცა გავაუქმეთ, 500 კაცი მივიღეთ“.*

საბედნიეროდ, დროთა განმავლობაში, „ზევით“ მიხვდნენ, რომ ამ კერის გაუქმებით ქართულ სპორტს აუნაზღაურებელ დანაკლისს აყენებდნენ და ჯერ კიდევ შარშან, 28 მარტს ხელისუფლებამ მიიღო პრინციპული გადაწყვეტილება – აღადგინოს სპორტის აკადემია, ოღონდ შეცვლილი სახელით და გაზრდილი სტატუსით. ოდნავ მოგვიანებით, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ გურამ ძაგანიას მეთაურობით, ოთხკაციანი კომისია შეიქმნა, რომელმაც სასწავლო პროგრამებზე დაიწყო მუშაობა. ახალ სასწავლებელს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი ეწოდება, სადაც ძირითადად ორი მიმართულება იქნება – სპორტული და მედიკობიოლოგიური. პირველი მწვრთნელ-მსაჯების აღზრდაზე იქნება ორიენტირებული, მეორე – სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროფილის სპეციალისტების. ამ ტიპის სასწავლებელი ჰაერივით რომ სჭირდება ქვეყანას, ამას განათლების სამინისტროს 2010-11 წლების მონაცემებიც მოწმობს. მის თანახმად, საქართველოს სკოლებში 4196 ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი მუშაობს, მაგრამ მათ 62 %-ს სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნია, 831-ს კი საერთოდ არ აქვს უმაღლესი განათლება. მნიშვნელობა არ აქვს, მასწავლებელთა მოსამზადებელ დაწესებულებას უმაღლესის სტატუსი ექნება თუ შედარებით დაბალი რანგი, მაგრამ ამ კუთხით მუშაობა სერიოზულად რომ უნდა გააქტიურდეს, ფაქტია. თუმცა, როცა მაღალი მიღწევების სპორტზე ვსაუბრობთ, იქ უკვე რაც უფრო მაღალი რანგი იქნება, მით უკეთესი. ცხადია, სათანადო სასწავლო პროგრამებით და სწავლების მაღალი ხარისხით, თორემ ძველი აკადემია ხშირად მართლაც ვერ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. ისიც ფაქტია, რომ დასავლურ ქვეყნებში მწვრთნელების, მსაჯების, იმავე ბავშვთა მწვრთნელებისა თუ სკოლის მასწავლებელთა მომზადება საუნივერსიტეტო ცენტრებში ხდება, რომელიც მეცნიერული კვლევის ბაზაცაა – სწორედ ამ სუპერთანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ლაბორატორიებში მიმდინარეობს მეცნიერული დაკვირვება სპორტის ცალკეული სახეობების წარმომადგენლებზე, სწორედ იქ ხდება ფარმაკოლოგიური ტიპის მუშაობა (საკვები რეჟიმისა თუ საკვები დანამატების, სარეაბილიტაციო სფეროს ჩათვლით), იქ იყრის თავს მთელი სტატისტიკა და იქვე ხდება შემოსული ინფორმაციის ანალიზი. სწორედ ამგვარი მუშაობის შედეგად შექმნეს ფრანგებმა და ესპანელებმა ფეხბურთში ის უძლიერესი სამწვრთნელო სკოლა, რამაც ორივე ნაკრები ევროპული და მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალებზე აიყვანა. მათ არასოდეს აკლდათ ჩინებული მოთამაშეები, მაგრამ სანამ სამწვრთნელო სკოლა არ დახვეწეს, მანამ დიდ შედეგს ვერ მიაღწიეს. პოსტსაბჭოური სივრციდან შეგვიძლია დავასახელოთ **იური შახმურადოვის** საჭიდაო აკადემია მახაჩყალაში, სადაც მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობს ფალავნებზე დაკვირვება და მუშაობა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მსოფლიოს პრაქტიკიდან კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ არა საქართველოდან.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ამგვარი სამეცნიერო პროფილისა ვერც ჩვენი უნივერსიტეტი იქნება, რადგან არ მისცეს დოქტორანტურა, ანუ ჩამოაშორეს სამეცნიერო-კვლევითი ფუნქცია და მხოლოდ სასწავლო პროფილი დაუტოვეს. თავიდან განზრახული იყო სამდონიანი სწავლება – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, მაგრამ ბოლო თვეებში დოქტორანტურა გამოირიცხა და ორდონიანი დარჩა. ცხადია, ეს ცუდია, თუმცა რეალობამ განაპირობა – სადღეისოდ ქვეყანაში მართლაც არაა პროფესორთა საკმარისი რაოდენობა, ხოლო როცა ამ კუთხით მდგომარეობა გამოსწორდება, მაშინ ეს მიმართულებაც დაემატება. დოქტორანტურა რომ აუცილებელია, ამას ირაკლი დოლაბერიძეც ადასტურებს: *„მესამე საფეხურის – დოქტორანტურის შექმნა აუცილებელია. დღეს მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც არ იყოს უმაღლესი სასპორტო სასწავლებელი, მათ შორის – სამსაფეხურიანი, რაც ნიშნავს იმას, რომ სპორტი და მეცნიერება განუყოფელია. ახალგაზრდებს აუცილებლად უნდა მიეცეთ საშუალება, საზღვარგარეთ წასვლის ნაცვლად, აქ დაიცვან დისერტაციები, ანუ ჩვენთან შეიქმნას სადისერტაციო საბჭო, იმავე დოქტორანტურის მესამე საფეხური, თუმცა ეს უფრო მომავლის საქმეა“* – გვითხრა მან. სადღეისოდ თუნდაც ასეთი სასწავლო უნივერსიტეტის შექმნაც დიდი საქმეა, რადგან ისევ ბატონი ირაკლის თქმით, ქვეყანაში მწვრთნელთა საშუალო ასაკი ხანდაზმულია და ისინი ჩამორჩებიან თანამედროვე მოთხოვნებს. სამომავლოდ დოქტორანტურის აუცილებლობაზე საუბრობს გურამ ძაგანიაც, რომელმაც სამინისტროში უკვე წარადგინა სათანადო მიმართვა.

უნივერსიტეტში, პირველ დონეზე, ანუ ბაკალავრიატში 4-ნლიანი სწავლება იქნება, მეორეზე – 2-ნლიანი. ბაკალავრიატში, ჯერჯერობით, ორი ფაკულტეტია – სამწვრთნელო და სამკურნალო-სარეაბილიტაციო ფაკულტეტი, რომელიც მწვრთნელებსა და ექიმებს მოამზადებს. იყო სურვილი, ამათ სკოლის მასწავლებელთა ფაკულტეტიც დამატებოდა, მაგრამ სადღეისოდ ის კვალიფიკაციათა ეროვნულ ნუსხაში ვერ მოხვდა და ერთი წლით გადაინია, ვიდრე ამ ჩამონათვალში შეიტანენ... მაგისტრატურაში იქნება ახალი სპეციალობაც – სპორტის მენეჯმენტი, რაც ჩვენთვის სიახლეა.

უნივერსიტეტს დაუბრუნდა მთელი ძველი ქონება – შენობაც და სტადიონებიც და ის ისევ ყოფილი აკადემიის შენობაში განთავსდება, სადაც ახლა გაცხარებული რემონტი მიმდინარეობს... ამ ეტაპზე ძირითადი აქცენტი გადატანილია პირველ-მეორე სართულზე, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ ამავე კურსებზეა ლაპარაკი. არც ის გამოირიცხება, 2015 წლის ზაფხულის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის შემდეგ ადგილმდებარეობა შეიცვალოს და იმ თამაშებისთვის აგებულ რომელიმე ობიექტზე დაიდოს ბინა, თუმცა ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არაა. უნივერსიტეტისთვის მთავარი პრობლემა აკრედიტაციაა, რომ მოასწროს ეროვნული გამოცდების ჩატარება და სექტემბერში პირველი კონტინგენტის მიღება. სასწავლებელმა 15 მარტამდე უნდა გაიაროს ავტორიზაცია, რაშიც, იმედია, ხელი არ შეეშლებათ – ეს წინაპირობა იქნება, რომ შემოდგომაზე პირველ კონტინგენტს მიიღებენ. სასწავლებლის 2014 წლის ბიუჯეტი ნახევარი მილიონი ლარია, რაც პირველი წლისთვის, როცა აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში მხოლოდ ერთი კურსი ეყოლებათ, არც ისე ცოტაა, თან ამას სწავლის საფასურიც დაემატება – 2250 ლარი.

უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კადრებია. ამ სფეროს აუნაზღაურებელი დარტყმა გაუქმების წლებმაც მიაყენა. როგორც გურამ ძაგანია ამბობს, პროფესორ-მასწავლებელთა ნახევარი ნერვიულობას შეეწირა. შემოდგომაზე უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი, რომელში მონაწილეობის სურვილი 95-მა პირმა გამოთქვა. აქედან 78 მიიღეს, რომელთაგანაც 17 პროფესორია, 29 – ასოცირებული პროფესორი, 27 – ასისტენტ-პროფესორი, 4 – ასისტენტი. ეს არაა საკმარისი მთლიანი დაკომპლექტებისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე საკმარისია, რადგან საუბარია მხოლოდ სტუდენტთა პირველ ნაკადზე. ცხადია, კონკურსანტთა შორის აკადემიის ძველი კადრებიც იყვნენ, თუმცა ყველამ ვერ გაიარა გამოცდა, მაგრამ ბლომად მოვიდნენ ახალი სპეციალისტებიც – 78-დან 32 ახალი კადრია. იყო ლაპარაკი, რომ ბრაზილიიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელ-სპეციალისტი, სან პაულოს უნივერსიტეტის პროფესორი **გოჩა ალადაშვილი**, რომელიც ფეხბურთის სამშობლოში ფეხბურთს ასწავლის ბრაზილიელებს. თავად მწვრთნელმა ქართულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ უნივერსიტეტში იწყებს მუშაობას, მაგრამ, როგორც გავიგეთ, მას განაცხადი არ შეუტანია და არც კონკურსი გაუვლია. შესაძლოა, ამ საკითხმა გარკვეული პერიოდით გადაინიოს, რადგან ალადაშვილს ბრაზილიაში ცოლ-შვილი ჰყავს, მეუღლე იქაურია და მისი სამსახურეობრივი ვალდებულებებიც გასათვალისწინებელია – ასე ხელაღებითაც ვერ წამოვა.

უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უცხოურ ცენტრებთან თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარებაა მიჩნეული. გურამ ძაგანია გადაჭრით აცხადებს, რომ ამის გარეშე საქმის ნორმალურად წარმართვა შეუძლებელია და რომ მათთვის ამოსავალი წერტილი „ბოლონიის პროცესია“. მათი პროგრამებიც ამის მიხედვით მუშავდება. ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ, როცა უნივერსიტეტის აღდგენის განკარგულებაც არ არსებობდა, ქართულმა მხარემ კონსულტაციები გაიარა საქართველოში სტუმრად მყოფ შოტლანდიელ ექსპერტთან, უცხოეთშიც ბევრი ვიზიტი მოეწყო ამ თემაზე, პროცესი დღესაც გრძელდება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მჭიდროდ მუშაობს კანადელ და ჰოლანდიელ ექსპერტებთან, რომლებიც სპორტის მენეჯმენტში საინტერესო პროგრამებს სთავაზობენ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ჩვენები, მაგალითად, რომელიმე მოდელს აკოპირებენ. განზრახულია იქაური სპეციალისტების მოწვევაც ლექციების წასაკითხად, რადგან ბატონი გურამ აზრით, ამის გარეშე განვითარება წარმოუდგენელია. ასევე იგეგმება ჩვენი სპეციალისტების საზღვარგარეთ მივლინებაც, თუმცა ეს ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული.

ჩარლი რებერნსი – შოტლანდიელი ექსპერტი, ლევან ყიფიანი – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, გურამ ძაგანია – რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ირაკლი დოლაბერიძე – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტული სამმართველოს უფროსი

საერთაშორისო კვლევა

„უყურადღებოდ მიტოვებულების“ ხმაურიანი მონიტორინგი

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება რეკომენდაციებს, DRI-ის განცხადებით, გაეროს ახალი „ბავშვების ალტერნატიული მოვლის დირექტივების“ მიხედვით, მთავრობებმა უნდა დაიწყონ საბავშვო დაწესებულებების „მოსპობის“ დაგეგმვა.

„თუ საქართველო ვერ შეძლებს შშმ პირის დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმაში ჩართვას, ეფექტური ცვლილებების პოტენციალი დაიკარგება – ჩანაცვლდება კოსმეტიკური რეფორმებით, რომელიც აიძულებს ნამდვილ მონაწილეებს, დაწესებულებებში ბავშვებზე ძალადობა განაგრძონ და დარჩნენ უფრო შეუმჩნეველები, ვიდრე აქამდე იყვნენ“ – წერია საერთაშორისო კვლევაში.

რა ხდება რეალურად? 2009 წლიდან საქართველოში ხორციელდება დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამა, რაც გულისხმობს დიდი ზომის ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრების დახურვას, ხოლო მათი ბინადრების გადაყვანას მცირე ზომის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებსა და მინდობით აღზრდაში. სახელმწიფო და UNICEF მიიჩნევენ, რომ მიუსაფარი ბავშვებისადმი მსგავსი მიდგომა გაციცლებით ციცილურია და ეს დადებით გავლენას ახდენს მათ განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. საქართველოს სახელმწიფო თავშესაფრებში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა 2005 წლის შემდეგ შემცირდა 90%-ზე მეტით და სახელმწიფო დაწესებულებებში რჩება 150 ბავშვზე ნაკლები, თუმცა, როგორც აღმოჩნდა ამ რიცხვს არ მიეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, რომლებიც კვლავაც სახელმწიფო დაწესებულებებში ცხოვრობენ და ბავშვები, რომლებიც ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში ცხოვრობენ. საზოგადოების განსაკუთრებული რეაქცია, სწორედ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ ობოლთა თავშესაფრებს მოჰყვა. DRI-ის განცხადებით, *„იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ხურავს ობოლთა სახელმწიფო თავშესაფრებს, ეკლესია ახალი თავშესაფრების დაფინანსებასა და გახსნას განაგრძობს. ეს დაწესებულებები კი კვლევის თანახმად, სრულიად არ კონტროლდება, რაც ადამიანთა უფლებების თვალსაზრისით განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს“*. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია, როგორც ხელისუფლების, ისე არასამთავრობოებისათვის.

3-წლიანი კვლევის განმავლობაში DRI-ის სპეციალისტებმა ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად მოინახულეს ბავშვთა და მოზრდილთა ყველა სახელმწიფო დაწესებულება და შეისწავლეს იქ მყოფ შშმ ბავშვთა და მოზარდთა მდგომარეობა. თუმცა, ამ კვლევაში არაფერია ნათქვამი იმ ბავშვთა მდგომარეობაზე, რომლებიც ეკლესია-მონასტრებთან არსებულ ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ. მიზეზი ერთია – ეს ბავშვთა სახლები გარესამყაროსთვის, მათ შორის სახელმწიფო კონტროლისთვის, მიუწვდომელია.

„2013 წლის სექტემბერში ჩაწერილი ინტერვიუს დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა უარი თქვა DRI-სთვის მიეწოდებინა მონაცემები ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც მათი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან. მან განაცხადა, რომ სამონასტრო სახლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ რამდენიმე ბავშვი ცხოვრობს.

საქართველოს მთავრობის სოციალური დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა და UNICEF-მა DRI-ს განუცხადეს, რომ მათ არ იციან, რამდენი ბავშვი ცხოვრობს საქართველოს საეკლესიო დაწესებულებებში და რომ ისინი მთლიანად არარეგულირებადი არიან“ – წერია DRI-ის ანგარიშში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დამცველი, საერთაშორისო ორგანიზაცია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენელზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ სამონასტრო ბავშვთა სახლებში შესაძლოა 1500-მდე ბავშვი ცხოვრობდეს, თუმცა, რეალური რაოდენობა შეიძლება მეტი იყოს.

DRI მიიჩნევს, რომ საეკლესიო დაწესებულებებში ბავშვთა რაოდენობის, ან ადგილმდებარეობის შესახებ მთავრობაში ინფორმაციის ნაკლებობა ქმნის იმის საფრთხეს, რომ ბავშვები შეიძლება გახდნენ ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლნი და ეს არ იცოდეს მთავრობამ.

კვლევაში მოცემულია სოციალური დაცვის დეპარტამენტის დირექტორის **გია კაკაჩიას** კომენტარი, რომელიც ამბობს: *„ეკლესიას სჭირდება ნებართვა, რომ აწარმოოს 24-საათიანი მზრუნველობა. მათ არა აქვთ ასეთი ნებართვა. ამგვარად გვრჩება ერთადერთი საშუალება: მივმართოთ სასამართლოს, მაგრამ ძალიან ძნელია ეკლესიას უჩივლო სასამართლოში.“* მისივე განცხადებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რიგ შემთხვევებში, პოულობს მოწყვლად ოჯახებს და არწმუნებს მათ, გადასცენ ბავშვები ეკლესიას. მისივე თქმით, უცნობია რამდენი შშმ ბავშვია კერძო ან საეკლესიო დაწესებულებებში.

DRI აღნიშნავს: *„კონტროლის და მონიტორინგის ნაკლებობა საეკლესიო დაწესებულებებში, წარმოშობს იმის რისკს, რომ ბავშვები ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდნენ. საქართველოს მთავრობის სოციალური დაცვის პროგრამების დეპარტამენტის დირექტორმა მოახსენა DRI-ს, რომ კანონის მიხედვით ბავშვთა გადაყვანა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებიდან ეკლესიის დაქვემდებარებულ დაწესებულებაში უნდა რეგულირდებოდეს სახელმწიფოს მიერ, რაც რეალურად არ ხდება“.* თუმცა, DRI განმარტავს, რომ ის არ აღწერს ადამიანის ტრეფიკინგის შემთხვევებს და არ ფიქრობს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ტრეფიკინგს ეწევა არარეგულირებული თავშესაფრების ამოქმედებით. ორგანიზაციის მოსაზრებით, ადამიანის ტრეფიკინგის რისკი იქმნება ყველგან, სადაც არ არის კონტროლი და არ ხდება ბავშვთა ადგილსამყოფელის მონიტორინგი ან დადგენა ოჯახის წევრების ან სახელმწიფო ოფიციალური პირების მიერ. განსაკუთრებით მოსალოდნელია კრიმინალური აქტივობა დახურულ გარემოში, სადაც არ ხდება დამოუკიდებელი ადამიანის უფლებების მონიტორინგი.

ასეთი შემაშფოთებელი ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ 16-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ჯანდაცვის სამინისტროს ბავშვთა სახლების მონიტორინგთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სამინისტროს მიმართა:

„მიმართვის ხელმომწერი ორგანიზაციები მივესალმებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივას ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების მონიტორინგის პროცესის დაწყების თაობაზე. სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მონიტორინგი მოიცავს ყველა ასეთ დაწესებულებას, მათ შორის, საპატრიარქოსთან არსებულ ბავშვთა სახლებსაც და მისი მიზანია დადგინდეს, თუ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულებები საქართველოში არსებულ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მოთხოვნებს.

მიუხედავად შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების არსებობისა და სახელმწიფოს ვალდებულებისა ახორციელებდეს ყველა სააღმზრდელო დაწესებულების მონიტორინგს, საპატრიარქოსთან არსებული ბავშვთა სახლების მონიტორინგი არასდროს განხორციელებულა. უფრო მეტიც, ამ ინსტიტუტის მონიტორინგის საშუალება საქართველოს სახალხო დამცველსაც არასოდეს მიეცა.

საერთაშორისო ორგანიზაცია DRI-ის მიერ 2013 წლის ბოლოს გამოქვეყნებული კვლევა, რომელიც ბავშვთა სახლებში არსებულ მძიმე მდგომარეობას აღწერს, ხაზს უსვამს საპატრიარქოს ბავშვთა სახლების სრული დახურულობის პრობლემას და უფლებათა დარღვევის იმ მაღალ რისკებზე მიუთითებს, რომელსაც შესაძლოა აღნიშნულ სახლებში ჰქონდეს ადგილი. სახელმწიფოს კონტროლს მიღმა დარჩენილ დაწესებულებებში – საპატრიარქოს ბავშვთა სახლებში უფლებათა დარღვევის შემთხვევებს აღწერს სახალხო დამცველის 2011 წლის სპეციალური ანგარიში ბავშვთა საღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ.

ზემოაღნიშნული რისკებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მონიტორინგის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ და მის მიმართ საზოგადოების მაღალი ნდობის პირობებში განხორციელდეს, რაც შესაძლებელი იქნება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობით ამ პროცესში. ამასთან, აუცილებელია მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა სახალხო დამცველის წარმომადგენლებსაც მიეცეთ, პროცესში ჩართვის ან დამოუკიდებელი მონიტორინგის ჩატარების გზით.

შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით, საპატრიარქოს ბავშვთა სახლების მონიტორინგის მთელ პროცესში, მათ შორის მისი დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, უზრუნველყოთ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა მონიტორინგის ჯგუფების წევრების სახით ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოგვცეთ შესაძლებლობა, განვახორციელოთ სამინისტროს მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესზე დაკვირვება, მონიტორინგის შედეგად მოპოვებულ ემპირიულ მასალაზე სრული დაშვების და მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანი სამოქალაქო კონტროლის პირობებში.

ასევე, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, მონიტორინგი განხორციელდეს სხვა რელიგიური ორგანიზაციის მფარველობის ქვეშ არსებულ ბავშვთა საღმზრდელო თუ პანსიონურ დაწესებულებებში, რათა სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს ამ ინსტიტუციებში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

ზემოაღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, წინამდებარე მიმართვაზე ხელმომწერი ორგანიზაციები ვითხოვთ, უზრუნველყოთ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა მონიტორინგის პროცესში. სახელმწიფოს მიერ შესაბამისი მზაობის გამოხატვისთანავე, მზად ვართ დავასახელოთ ჩვენი ნდობით აღჭურვილი კომპეტენტური ექსპერტები.“

როდესაც სახელმწიფოში არსებობს ისეთი ტიპის ბავშვთა სახლები, რომლებიც სახელმწიფოსათვის და უფლებადამცველებისთვის ჩაკეტილია და იქ მონიტორინგი ვერ ხერხდება, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ყველა ბავშვზე ვერ ზრუნავს.

ჯანდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საპატრიარქოს დაქვემდებარებული ბავშვთა სახლების მონიტორინგი დაიწყოს. **დავით სერგეენკოს** განცხადებით, მნიშვნელობა არ აქვს, ვისი პატრონაჟის ქვეშ ხორციელდება ბავშვზე ზრუნვა – ამ საკითხის კურირება ჯანდაცვის სამინისტროს პრერეგატივაა.

„საპატრიარქოს კურირების ქვეშ მყოფი ბავშვთა სახლებიც ექვემდებარება ჩვენს ცალსახა მინიტორინგს და არ მახსოვს შემთხვევა (სისტემატურად ვახორციელებთ მონიტორინგს), რომ რაიმე პრობლემა შექმნოდათ ვინმეს მხრიდან. წესი და რიგი ყველასთვის ერთია. პასუხისმგებელი განხორციელებაზე და მონიტორინგზე არის სამინისტრო. საპატრიარქოს მართვაში არსებულ ბავშვთა სახლებთან დაკავშირებით შემიძლია გაგაცნოთ წლევანდელი კონკრეტული სამოქმედო გეგმა. შეხვედრა მქონდა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, გაწერილია მონიტორინგის გეგმა, რომელიც თებერვალში დაიწყება. კომუნიკაცია გვექნება საპატრიარქოსთან, მისი შესაბამისი სოციალური სამსახურის ხელმძღვანელთან. შეთანხმებული გეგმის მიხედვით განვახორციელებთ მონიტორინგს. ეს არის ჩვენი ვალდებულება, რომლის განხორციელებაზე ჯანდაცვის სამინისტრო პასუხს აგებს. წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით ეს პროცესი თებერვლიდან დაიწყება“ – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

სამინისტრომ მონიტორინგი დაიწყო, თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების თხოვნაზე – მონიტორინგში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ჩართონ – უარი განაცხადა, იმ მიზეზით, რომ მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, კონკრეტულ ბავშვებთან დაკავშირებით, ბევრი ისეთი შემთხვევა გამოვლინდა, რომლის კონფიდენციალობის დაცვა სამინისტროს აუცილებლად მიაჩნია.

„ვერ გავრისკავთ. ბევრი კონფიდენციალური ინფორმაციაა, რასაც საჯაროს ვერ გავხდით. არის შემთხვევები, როდესაც ოჯახმა ან ოჯახის რომელიმე წევრმა არ იცის იქ ბავშვის ცხოვრების შესახებ. ბავშვთა პირად ინფორმაციაზე წვდომას ვერ დავუშვებთ. თუნდაც 2 არასამთავრობო რომ ჩავრთოთ ამ პროცესში, ეს უსამართლობის განცდას გამოიწვევს მათში, ვინც ვერ მოხვდება მონიტორინგის ჯგუფში, ან რამდენად იქნებიან ისინი სანდო სხვა ორგანიზაციებისთვის. საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით კიდევ, მაგრამ სავარაუდოდ, უარის თქმა მოგვიწევს,“ – აცხადებს გია კაკაჩია.

სამინისტრომ უკვე დაასრულა ორი ბავშვთა სახლის გეგმიური მონიტორინგის პროცესი, მათ შორის ბათუმში საპატრიარქოს მზრუნველობის ქვეშ არსებული ბავშვთა სახლის, სადაც გია კაკაჩიას ინფორმაციით, ამჟამად 150-მდე ბავშვი ცხოვრობს:

„დეტალურ შედეგებს, თუ რამდენად არის ყველა პირობა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში, მალე გავასაჯაროვებთ. ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ იქ საკმაოდ დამაკმაყოფილებელი პირობებია, თუმცა, იქამდე კრიტიკული თვალით ვუყურებდით. ბავშვზე ზრუნვა არის მუდმივი. ინფრასტრუქტურა გამართულია.“

მისივე განმარტებით, იქ მცხოვრები ბავშვები განათლებას იქვე არსებულ, განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტებულ სასწავლებელში იღებენ.

მათი ბედი 18 წლის შემდეგაც აინტერესებთ, ნაწილი თბილისში აგრძელებს სწავლას, ნაწილი – საზღვარგარეთ.

ასეთი ხმაურიანი ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, ძალიან სასიამოვნოა, რომ მონიტორინგმა სტარტი სერიოზული დარღვევების გამოვლინების გარეშე აიღო. თუმცა, წინ კიდევ ბევრი დაწესებულებაა, რომელთა მონიტორინგი რეალურ სურათს გამოავლენს. შესაძლოა, „ხმაურიანი ანგარიში“, მართლაც შედეგიანი აღმოჩნდეს „უყურადღებოდ მიტოვებულებისათვის“.

ლალი ჯელაძე

ექსტერნად გამოცდების ჩაბარების ვადები და კრიტერიუმები

პირველი გვერდიდან

დამატებით გაცნობებთ, რომ პირს უფლება აქვს, ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს შესაბამისი **გამოცდა, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით** დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირი ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია, 2014 წლის 14 თებერვლიდან 2014 წლის 21 თებერვლის ჩათვლით, სათანადო საბუთებთან ერთად, ექსტერნად რეგისტრაციის თაობაზე განცხადება რესურსცენტრში წარადგინოს, შემდეგი წესის დაცვით:

ა) თუ პირი, რომელსაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღება, სწავლობს სკოლაში, განცხადება შეიტანება იმ რესურსცენტრში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს შესაბამისი სკოლა;

ბ) თუ პირი არ სწავლობს სკოლაში, განცხადება შეიტანება ნებისმიერ რესურსცენტრში, პირის სურვილის შესაბამისად.

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მიზნით, რესურსცენტრს უნდა წარედგინოს:

ა) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირის ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც მიეთითება:

ა.ა) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი);

ა.ბ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა ექსტერნატის ფორმით დაძლევა სურს პირს;

ა.გ) ენა, რომელზეც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს სურს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური);

ა.დ) უცხო ენა/ენები, რომელშიც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს უნდა ჩაუტარდეს ექსტერნატის გამოცდა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

ა.ე) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა დადებითი შედეგების გამოყენება სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს;

ა.ვ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი საგანი/საგნები, რომლის ჩაბარებაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს;

ბ) ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ ზოგადი განათლების იმ კლასის/სემესტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას, რომელიც წინ უსწრებს ექსტერნატის ფორმით დასაძლევ კლასს/სემესტრს. იმ შემთხვევაში, თუ პირმა განათლება საზღვარგარეთ მიიღო, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სკოლის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ პირმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ტესტირების გზით და მას ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე ან პირს სურს რომ გააგრძელოს სწავლა.

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა **ტარდება ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით.**

პირი, რომელიც ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონეს, ვალდებულია, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 07 აპრილის N48 ბრძანების შესაბამისად, დარეგისტრირდეს და წარმატებით ჩააბაროს სკოლის გამოსაშვები გამოცდები.

ამასთან გაცნობებთ, რომ პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაიცემა.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით აცხადებს ერთობლივ კონკურსს თემაზე „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა)**, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ძირძველი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება ხელსაქმეს ან ხელოსნობას. ასეთი შეიძლება იყოს:

ქსოვა (მათ შორის სამოსის, მისი ატრიბუტების, საყოფაცხოვრებო ნივთების: სუფრა, ხურჯინი, ფარდაგი, ხალიჩა და სხვა) – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ქარგვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ნაბდის მოთელვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თექა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ძაფის დართვა და შეღებვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ბუნებრივი საღებავების გამოყენება – მათი მოპოვების და დამუშავების ტექნიკა, მასთან დაკავშირებული რიტუალები;

თოჯინებისა და სათამაშოების დამზადება – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, მნიშვნელობა და გამოყენების წესები;

საკრავების დამზადება – ნედლეული, მისი მოპოვება, მომზადების ტექნოლოგია, მასთან დაკავშირებული რიტუალები, ინსტრუმენტები, ტრადიციები;

ხის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – ხის შერჩევის, მოჭრის, გამოშრობის, მასალის დამზადების ტრადიციული მეთოდები (ყავარი, აივნის ჭვირული, მუშარაბი, ოდა, ფაცხა, მესერი და სხვა), მასთან დაკავშირებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხის ნაკეთობები (ავეჯი, საყოფაცხოვრები ნივთები, სკივრი, გობი და სხვა) – მასალის შერჩევის, დამზადების ტრადიციული მეთოდები, მასთან დაკავშრებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხეზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერი, საღებავი, მასთან დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

წნულის ხელობა (საყოფაცხოვრებო ნაგებობები, ღობე, საოჯახო ატრიბუტები, სარიტუალო და სხვა ნაკეთობები) – ნედლეული და მისი მოპოვება, წნულის დამზადების ტექნოლოგია და დიზაინი, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, ტრადიციები და რიტუალები;

ლითონის დამუშავება (საყოფაცხოვრებო ნივთები, საბრძოლო ინვენტარი, სამკაული და სხვ.) – ნედლეული, ტრადიციული მოპოვებისა და დამუშავების ხერხები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ლითონის დეკორატიული დამუშავება – ნედლეული, ორნამენტი, დამზადების ტექნოლოგია და ინსტრუმენტები, ფერები, ნედლეული, დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თიხის დამუშავება (სამშენებლო მასალა, საყოფაცხოვრებო ნივთები: ჭურჭელი, ქვევრი, თონე და სხვა) – სხვადასხვა მიზნით თიხის მოპოვების, მომზადების, გამოწვის ტრადიციები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ჭიქური – ინსტრუმენტები, ფერი, საღებავი და სხვა ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ქვის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – კარიერები, მოპოვება, ტრანსპორტირება, ინსტრუმენტები, რიტუალები და ატრიბუტები;

ქვაზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ნედლეული, ორნამენტი, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

სხვა რამ, რაც უკავშირდება ხელსაქმესა და ხელოსნობას.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com

ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ბოლო ვადაა 2014 წლის 28 თებერვალი.**

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი;*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი;*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი);
7. ტექნოლოგიის მოკლე აღწერა.

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

❖ *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;*

❖ *ზოგადი აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*

❖ *დამზადების/შესრულების ტექნოლოგია – ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის დამზადების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*

❖ *ორნამენტი;*

❖ *შემსრულებლები (მეთუნე, მქარგავი, ხურო და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიკირებისათვის;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისათვის.*

სასურველია სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400- 500 სიტყვას.

სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში (32)298-39-24, 13 საათიდან 15 საათამდე ან 599 62 34 99 aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

კონკურსი

პითაგორას თასი – 2014

ყოველწლიური მათემატიკური ღია ტურნირი ნიჭიერ ბავშვთათვის

სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ბავშვებში სწავლისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფორმირება, რაც ყალიბდება როგორც გაკვეთილებზე სასწავლო პროცესის დახვეწით, ასევე კლასგარეშე მუშაობისას.

კლასგარეშე მუშაობის ძირითად ფორმას მათემატიკური წრეები წარმოადგენს, რომლებიც მოსწავლეთა მათემატიკური თვალთახედვის არეალის გაფართოებას, შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას, დამოუკიდებლად კვლევა-ძიების უნარის შეძენასა და, აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი შრომით დაინტერესებასა და მეცნიერული კვლევის ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამ საქმეში, სკოლის შიგნით, დიდად ეხმარება მათემატიკური საღამოები, ვიქტორინები, ხოლო სკოლის გარეთ ოლიმპიადები, მათემატიკური ჟიდილები, ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოცხადებული კონკურსები და სხვა ღონისძიებები.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა „პითაგორას თასის“ ყოველწლიური მათემატიკური ღია ტურნირი ნიჭიერ ბავშვთათვის, რომელიც დაარსდა არასამეწარმეო საზოგადოება პითაგორას მიერ 2001 წელს. საზოგადოების თავმჯდომარე ზურაბ აღდგომელაშვილი (2001-2007 წლებში – თბილისის მათემატიკის სწავლებისა და მეთოდიკის ლაბორატორიის გამგე; 2007 წლიდან დღემდე – შპს საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსიტუტის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, სკოლა „ლოგოსის“ მათემატიკის პედაგოგი) მკითხველისათვის ცნობილია, როგორც არაერთი დამხმარე კლასგარეშე სახელმძღვანელოს ავტორი.

მათემატიკური ტურნირი „პითაგორას თასი“ 2 დაუსწრებელი და 1 დასწრებული (დასკვნითი) ტურისაგან შედგება.

გამარჯვებულები წიგნებითა და ფასიანი საჩუქრებით ჯილდოვდებიან.

თუ გსურთ ტურნირში მონაწილეობა, უნდა ამოხსნათ ქვემოთ მითითებული თქვენი კლასის ამოცანები, სათანადო მსჯელობითა და დასაბუთებით გააფორმოთ უჯრებიან რვეულში, თითოეულ ამოხსნილ ამოცანას დაუთმეთ რვეულის ერთი ფურცელი, ანუ რვეულის 2 გვერდი.

შემდეგ ტურში გასვლისათვის აუცილებელია დააგროვოთ ქულათა რაოდენობის მაქსიმუმის 90% მაინც. რვეულის გარეკანზე დააწერეთ:

„პითაგორას თასი 2014“ დაუსწრებელი I ტური

.....

გვარი სახელი ..... სკოლა .....კლასი .....

რვეული, 2014 წლის 15 მარტამდე, უნდა ჩააბაროთ პითაგორას საზოგადოების თავმჯდომარეს პითაგორას ოფისში, რომლის მისამართია: თბილისი, უზნაძის ქ №77, კულტურის სახლი „იმედი“, ცენტრალურ შესასვლელში რომელიმე მომსახურე პერსონალთან ან გამოაგზავნოთ ელფოსტაზე – diophant_zura@rambler.ru

საკონტაქტო ტელეფონებია: 577 72-30-49; 2-79-36-93 (18:00-22:00სთ)

პირველი დაუსწრებელი ტურის დავალებები

V კლასი

5-1-1. ცხენი თივის ზვინს ჭამს ერთ თვეში, თხა – ორ თვეში, ცხვარი კი – სამ თვეში. რა დროში შეჭამენ ერთ თივის ზვინს სამივე ერთად?

5-1-2. 130 ცხვარი დაყავით ორ ნაწილად ისე, რომ მცირე გადიდებული 4-ჯერ ტოლი იყოს სამჯერ შემცირებული დიდი ნაწილისა.

5-1-3. ერთი მეგობარი ეუბნება მეორეს: „მომეცი მე შენი ორი ვაშლი და მაშინ ჩვენ გვექნება თანაბარი რაოდენობის ვაშლები“ – რაზეც მეორემ უპასუხა: „არა, უკეთესია შენ მომეცე შენი ორი ვაშლი და მაშინ მე მექნება შენზე ორჯერ მეტი რაოდენობის ვაშლები“. რამდენი ვაშლი ჰქონდა თავდაპირველად თითოეულს?

5-1-4. სამ მოსწავლეს აქვს გარკვეული რაოდენობის ვაშლები. პირველი მოსწავლე დანარჩენ ორიდან თითოეულს აძლევს იმდენ ვაშლს, რამდენი ვაშლიც ჰქონდათ. შემდეგ მეორე ვაჟი დანარჩენ ორს აძლევს იმდენ ვაშლს, რამდენი ვაშლიც ჰქონდათ იმ მომენტში. ამის შემდეგ მესამემ დანარჩენ ორს (თითოეულს) მისცა იმდენი ვაშლი, რამდენი ვაშლიც ჰქონდათ. ყოველივე ამის შემდეგ თითოეულ მათგანს ჰქონდა 8 ვაშლი. რამდენი ვაშლი ჰქონდა თავდაპირველად თითოეულს?

5-1-5. ერთი ტურისტი ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქამდე მანძილის გავლას ანდომებს 10 დღეს, ხოლო მეორე კი – 15 დღეს. რა დროის შემდეგ შეხვდებიან ისინი, თუ ერთდროულად გამოვლენ ამ ქალაქებიდან?

VI კლასი

6-1-1. ხბო, რომელსაც მგელი გამოეკიდა, გაიქცა სახლისაკენ. მგელს ხბომდე მისასვლელად (თუ ხბო გაჩერებული იქნებოდა) სჭირდება 4წთ. ხბოს სახლამდე მისარბენად სჭირდება 6წთ. მგელი ორჯერ უფრო სწრაფად მირბის, ვიდრე ხბო. შეასწრებს თუ არა ხბო სახლში შესვლას?

6-1-2. მათემატიკის გაკვეთილს არ ესწრებოდნენ მოსწავლეები, რომელთა რაოდენობაც წარმოადგენდა დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობის $1/6$ -ს. მას შემდეგ, რაც გარეთ გამოვიდა ერთი მოსწავლე, არადამსწრებ მოსწავლეთა რაოდენობა გახდა ტოლი დამსწრე მოსწავლეთა რაოდენობის $1/5$-ის. სულ რამდენი მოსწავლე ირიცხება სიით ამ კლასში?

6-1-3. მათემატიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებული აღმოჩნდა 5 მოსწავლე, რომელთაც დაიკავეს შესაბამისად პირველი, მეორე და მესამე ადგილები. დააგროვა რა თითოეულმა მათგანმა მხოლოდ 15, 14 ან 13 ქულა. რამდენმა მონაწილემ დაიკავა თითოეული ადგილი, თუ ყველამ ერთად დააგროვა 69 ქულა?

6-1-4. კლასში 42 მოსწავლეა. მოიძებნება თუ არა წელიწადში ისეთი თვე, რომელშიც აქვს დაბადების დღე ამ კლასის მოსწავლეებიდან არანაკლებ ოთხს?

6-1-5. შეგვიძლია თუ არა, განვალაგოთ 20 ცალი 0-იანი და რამდენიმე 1-იანი ისე, რომ 0-იანის დიამეტრალურად მოპირდაპირე წერტილში იყოს 1-იანი და არც ერთი წყვილი 1-იანებისა არ მდებარეობდეს წრეწირზე მიმდევრობით? პასუხი დაასაბუთეთ.

VII კლასი

7-1-1. ერთ ჭიქაში 5 კოვზი ჩაია, ხოლო მეორეში – 5 კოვზი რძე. ერთი კოვზი რძე გადაასხეს მეორე ჭიქიდან პირველში და კარგად მოურიეს; ერთი კოვზი რძიანი ჩაი გადაასხეს პირველი ჭიქიდან მეორეში. რა უფრო მეტია: პირველ ჭიქაში რძე, თუ მეორე ჭიქაში ჩაი? როგორ შეიცვლება პასუხი, თუ ამ პროცედურას 10-ჯერ ჩავატარებთ? თუ მორევა არ მოხდება საგულდაგულოთ? თუ პირველ ჭიქაში ჩაის რაოდენობა მეტია მეორე ჭიქაში რძის რაოდენობაზე?

7-1-2. გვაქვს 5 ფურცელი. რამდენიმე მათგანს ჭრიან 5 ნაწილად (თითოეულს). მიღებული ნაჭრებიდან რამდენიმე მათგანს ისევ ჭრიან 5 ნაწილად (თითოეულს) და ა.შ. შესაძლებელია თუ არა ასეთი პროცედურის რომელიმე ვარიანტში აღმოჩნდეს 2004 ცალი ფურცლის ნაჭერი?

7-1-3. ყუთში დევს 100 სხვადასხვა ფერის ბურთულა: 28 წითელი, 20 მწვანე, 12 ყვითეული, 20 ლურჯი, 10 თეთრი და 10 შავი. ყუთში ჩაუხედავად რა უმცირესი რაოდენობა ბურთულებისა უნდა ამოვიღოთ, რომ მათ შორის აუცილებლად აღმოჩნდეს 15 ერთი ფერის ბურთულა?

7-1-4. ჭადრაკის ტურნირში მონაწილეობდა ორი მეშვიდეკლასელი და რაღაცა რაოდენობის მერვეკლასელები. ორმა მეშვიდეკლასელმა ერთად დააგროვა 8 ქულა, ხოლო თითოეულმა მერვეკლასელმა დააგროვა ერთი და იმავე რაოდენობის ქულა. სულ რამდენი მერვეკლასელი მონაწილეობდა ტურნირში? (თითოეული მოთამაშე თითოეულს ხვდება მხოლოდ ერთხელ). იპოვეთ ყველა ამონახსნი.

7-1-5. დაუსწრებელ ტურში მონაწილეობდნენ მეშვიდეკლასელები. მათ მიცემული ჰქონდათ ამოსახსნელად 20 ამოცანა. აღმოჩნდა, რომ თითოეულმა მოსწავლემ ამოხსნა ორი ამოცანა და თითოეული ამოცანა იყო ამოხსნილი ორი მოსწავლის მიერ. დაამტკიცეთ, რომ ამოცანების ამოხსნების გარჩევა შეიძლება ისე წარვმართოთ, რომ თითოეულმა მოსწავლემ გაარჩიოს მხოლოდ ერთი ამოცანა და ამასთან ყველა ამოცანა იყოს გარჩეული.

VIII კლასი

8-1-1. დაამტკიცეთ, რომ არაერთნიშნა რიცხვის ციფრთა ნამრავლი ნაკლებია ამ რიცხვზე.

8-1-2. კლასში 31 მოსწავლეა. ყველას წლოვანებათა ჯამი 434-ის ტოლია. მოიძებნება თუ არა ამ კლასში 20 მოსწავლე, რომელთა წლოვანებაც ჯამში არის არანაკლები 280 წლისა?

8-1-3. სიბრტყეში მოცემულია 5 წერტილი, რომელთაგან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე. დაამტკიცეთ, რომ მათ შორის შეგვიძლია ავარჩიოთ ისეთი ოთხი წერტილი, რომელიც წარმოადგენს ამოზნექილი ოთხკუთხედის წვეროებს.

8-1-4. სულ რამდენი რიცხვია 100-დან 10000-მდე ჩათვლით ნატურალურ რიცხვთა შორის, რომლის ჩანაწერშიც არის ზუსტად სამი ერთნაირი ციფრი?

8-1-5. მოცემულია კუთხე, რომლის გრადუსული ზომაა 19°. ავაგოთ მხოლოდ სახაზავისა და ფარგლის მეშვეობით 1°-იანი სიდიდის კუთხე.

IX კლასი

9-1-1. მათემატიკურ ოლიმპიადაზე ერთმანეთს შეხვდა 6 მოსწავლე. აღმოჩნდა, რომ მათ შორის ნებისმიერი სამეულიდან რომელიმე ორმა იცის ერთი და იგივე ენა. დაამტკიცეთ, რომ ამ მოსწავლეთა შორის მოიძებნება სამეული, რომელთაგან თითოეული თითოეულს დაელაპარაკება მისთვის გასაგებ ენაზე.

9-1-2. ორი წრეწირის გადაკვეთის A და B წერტილებზე გავლებულია ორი წრფე. ვთქვათ C და D – არის წერტილები I წრეწირთან, ხოლო E და F – მეორე წრეწირთან. დაამტკიცეთ, რომ CD და EF წრფეები პარალელურია.

9-1-3. ვიპოვოთ ყველა სამეული x, y, z მთელი რიცხვებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ განტოლებას $x^2+y^2+z^2=2xyz$.

9-1-4. მოცემულია $n+1$ განსხვავებული ნატურალური რიცხვი, რომელთაგან თითოეული ნაკლებია $2n$-ზე. დაამტკიცეთ, რომ მათგან შესაძლებელია ავირჩიოთ სამი რიცხვი, რომელთაგან ერთი ტოლია დანარჩენი ორის ჯამისა.

9-1-5. ვიპოვოთ უდიდესი საერთო გამყოფი რიცხვებისა 11 111 111 და 1111 .... 111 (1-იანი ასჯერ მეორდება).

X კლასი

10-1-1. მოცემული ΔABC ტოლფერდაა. $BAC=BCA=80^o$. A და C წვეროებიდან გავლებულია ორი წრფე მოპირდაპირე გვერდების გადაკვეთამდე შესაბამისად D და E წერტილებში. $CAD=60^o$; $ACE=50^o$. გამოვთვალოთ ADE.

10-1-2. ყველა ორნიშნა რიცხვი, რომელიც არ ბოლოვდება 0-ით ამოწერილია ერთმანეთის მიყოლებით ისე, რომ ყოველი შემდეგი იწყება იმავე ციფრით, რომლითაც მთავრდება წინა ორნიშნა რიცხვი. ასე მიიღება რომელიღაც მრავალნიშნა რიცხვი. ყველა ასეთი რიცხვიდან არჩეულია უდიდესი და უმცირესი. ვიპოვოთ მათი ჯამი.

10-1-3. ჭადრაკის ტურნირში თითოეულმა მოჭადრაკემ თავისი დაგროვებული ქულების ნახევარი ბოლო სამ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებთან დააგროვა. რამდენი მოჭადრაკე მონაწილეობდა ტურნირში?

10-1-4. კვადრატის გვერდი ტოლია 1-ის. კვადრატის ცენტრზე გავლებულია წრფე. ამ წრფეზე დაშვებულია კვადრატის ოთხივე წვეროდან მართობები. ვიპოვოთ ამ მართობების სიგრძეთა კვადრატის ჯამი.

10-1-5. შვიდნიშნა რიცხვებს შორის, რომლებიც შედგენილია ციფრებისაგან: 1; 2; 3; 4; 5; 6; 7, იპოვეთ ორი რიცხვი, რომელთაგან ერთი მეორის ჯერადია.

XI კლასი

11-1-1. რომელია მეტი

$1 - 1/2 + 1/3 - 1/4 + ... + 1/199 - 1/200$

თუ $1/101 + 1/102 + ... + 1/200$?

11-1-2. დაფაზე, რომელიც შედგება 4×100 კვადრატული უჯრისაგან, დადებულია მართკუთხა ფორმის ქვები ისე, რომ: დაფარულია დაფა მთლიანად; არა აქვს ადგილი ქვების გადაფარვას; თითოეული ქვა ფარავს ზუსტად ორ უჯრას. დაამტკიცეთ, რომ შესაძლებელია დაფა გავხერხოთ, მასზე დახატული რომელიმე განივი ან გრძივი ხაზის გასწვრივ ისე, რომ არ გადავაადგილოთ და არ გავხერხოთ მასზე დაწყობილი არცერთი ქვა.

11-1-3. ტოლფერდა ΔABC-ში BC ფუძის H შუაწერტილიდან AC ფერდზე დაშვებულია HE პერპენდიკულარი. O – არის [HE]-ს შუაწერტილი. დაამტკიცეთ, რომ AO და BE წრფეები მართობული არიან.

11-1-4. იპოვეთ ყველა ორნიშნა რიცხვი, რომლის კვადრატიც ტოლია მისი ციფრების კუბის ჯამისა.

11-1-5. $n \times n$ კვადრატული ცხრილის უჯრებში ჩაწერილია რიცხვები. ყოველი „ჯვარის“ უჯრებში ჩაწერილი რიცხვების ჯამი არის არანაკლები 1-ზე. („ჯვრის“ ქვეშ იგულისხმება ფიგურა შედგენილი ერთი სრული სტრიქონისა და ერთი სრული სვეტისაგან). რა უმცირესი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს ყველა უჯრაში ჩაწერილი რიცხვების ჯამმა?

მეთოდიკა

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

მანანა სეხნიაშვილი
გეოგრაფიის მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის გეოგრაფიის ტრენერი

კოგნიტური უნარების განვითარება რუკის გამოყენებით

ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანა სააზროვნო უნარების განვითარებაა.

მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვა, ასევე მრავალფეროვანი სასწავლო მასალის გარკვეული ფორმით მიწოდება. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა ჩართოს აზროვნების აქტიურ პროცესში, სადაც ისინი საკუთარი აზროვნების პროცესებს გააცნობიერებენ. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და მართვაში. მოსწავლის უნარი, გააკეთოს დასკვნა, თუ რა და როგორ ისწავლა, ეს მისი მეტაკოგნიციური უნარ-ჩვევების განვითარების წინაპირობას იძლევა.

გეოგრაფიის გაკვეთილი რუკის გარეშე წარმოუდგენელია. იგი ყველაზე საჭირო რესურსია, მაგრამ მისი გამოყენება კოგნიტური უნარების განვითარებისთვის ნაკლებად ხდება. როგორც წესი, რუკაზე მუშაობა გეოგრაფიული ობიექტების ჩვენებით შემოიფარგლება, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, კონტურული რუკების შევსებით მთავრდება. რუკის კითხვის მეთოდების დაუფლება უმთავრესი უნარია, რომლის ჩამოყალიბება ეტაპობრივად ხდება – გამოყენების დონიდან სააზროვნო დონეებამდე.

გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს, რომელიც სააზროვნო უნარებს ავითარებს. რესურსებად გამოვიყენე ინტერნეტსივრცეში გავრცელებული რუკები.

რუკაზე შეცდომების გასწორება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის კარგი აქტივობაა. ამ პროცესში მოსწავლე ხვდება, თუ როგორ შეუძლია გამოიყენოს რაც უკვე იცის. საკუთარი მუშაობის პროცესს დააკვირდეს და ბოლოს, მასწავლებლის დახმარებით საკუთარ თავს დაუსვას კითხვა: რამდენად სწორად შეასრულა სამუშაო? სად გაუჭირდა ? სჭირდება თუ არა რაიმეს გაუმჯობესება? ეს უკვე შეფასებაა.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ამერიკელების მიერ შევსებული ევროპის კონტურული რუკები, რომლებიც ევროპაზე მათ წარმოდგენას ასახავს. შედეგი გამაოგნებელია.
http://www.buzzfeed.com/summeranne/americans-try-to-place-european-countries-on-a-map

ეს შეცდომით შევსებული რუკებია სწორედ გაკვეთილის რესურსი.

დავალება მარტივია: მოსწავლეებმა უნდა გაასწორონ შეცდომები. დამეთანხმებით, საინტერესო და სახალისო სამუშაოა – მოსწავლეები სწავლობენ ევროპის ქვეყნების ადგილმდებარეობას და, ამავე დროს, სივრცეში ორიენტაციის უნარიც გამოუმუშავდებათ.

მეორე რესურსი, რომელიც ერთ-ერთ ბლოგზე აღმოვაჩინე, არის „რუკები, რომლებსაც სკოლაში არ გვასწავლიან“ (http://ucnauri.com).

„სკოლის დამთავრებისას ჩვენ ბევრი რამ ვიცით, მაგრამ მაინც გვრჩება შეგრძნება, რომ ყველაზე საინტერესო არ უსწავლებიათ. შესაძლოა ვიცოდეთ, სად არის რომელიმე გეოგრაფიული ობიექტი, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდეს მსოფლიოზე. სწორედ ამიტომ ერთ-ერთმა ამერიკულმა კვლევითმა ორგანიზაციამ შეადგინა ინფოგრაფიკული რუკები, ანუ რუკები, რომლებზეც ჩვეულებრივი რუკისგან განსხვავებული ინფორმაციაა დატანილი და რომლებიც უადვილებს ადამიანებს დანარჩენი მსოფლიოს აღქმას,“ – ვკითხულობთ ბლოგზე.

ვეთანხმები ავტორს – მხოლოდ გეოგრაფიული ობიექტების ადგილმდებარეობის ცოდნა მსოფლიოზე წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. დღეს გეოგრაფიის სწავლებისას მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე კი არ ვართ ორიენტირებული, არამედ ამ ცოდნის გამოყენებაზე, ანალიზსა და შეფასებაზეც. გეოგრაფია არ არის ობიექტების, ფაქტებისა და მოვლენების მხოლოდ აღწერა; გეოგრაფიის სწავლისას მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გაიცნონ და მთლიანობაში აღიქვან სამყარო. მოსწავლემ მხოლოდ ობიექტების ადგილმდებარეობის დასასწავლად არ უნდა დაკარგოს დრო – საჭიროა მათ ის პროცესები და მოვლენები ვასწავლოთ, რაც ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარეობს, დავანახოთ მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

ამ ბლოგის რესურსი სწორედ ასეთი აქტიური გაკვეთილების ჩატარების საშუალებას იძლევა. მადლობა ავტორს. პირველივე რუკა სივრცეში ორიენტაციის უნარ-ჩვევის განვითარებაში დაგვეხმარება.

რუკა 1. ყველაზე პოპულარული გვარები ევროპაში

ამ რუკის მიხედვით, მეშვიდეკლასელებს შეიძლება მივცეთ მარტივი დავალება: ამოიწერონ, რომელ ქვეყნებში რომელი გვარებია ყველაზე მეტად გავრცელებული. ამ დავალების შესრულება უფრო სახალისოა, ვიდრე ქვეყნებისა და მათი დედაქალაქების დასწავლა.

სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარებისთვის გამოდგება მეორე რუკაც, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური ქსელების გავრცელებას გვიჩვენებს.

რუკა 2. სოცქსელების გავრცელების რუკა

ამ რუკის შედარებითი ანალიზი დაგვანახვებს, როგორ იცვლებოდა წლიდან წლამდე მსოფლიოში სოციალური ქსელების მოხმარება და რა როლს ასრულებენ ისინი გლობალიზაციის პროცესში.

მომდევნო რუკები ანალიზისა და შეფასების უნარების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ, რომელ ქვეყნებშია მოსახლეობის სიმსუქნისკენ მიდრეკილებისა და IQ-ს მაღალი მაჩვენებელი, მერე შეადარონ ეს რუკები მშპ-ის მიხედვით შედგენილ რუკას და ამ მაჩვენებლებს შორის არსებულ კავშირზე იმსჯელონ, განსაზღვრონ, აქვთ თუ არა მათ უშუალო კავშირი ერთმანეთსა და ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასთან. დასკვნა შეუძლიათ წარმოადგინონ სასურველი ფორმით.



რუკა 3. მსოფლიოს ქვეყნების მოსახლეობის მიდრეკილება სიმსუქნისკენ

რუკა 4. ქვეყნები მოსახლეობის IQ ქულების მიხედვით

ეს აქტივობა მხოლოდ ისეთი სპეციფიკური უნარების განვითარების საშუალებას კი არ იძლევა, როგორიცაა რუკის გამოყენება და გაანალიზება, არამედ მოსწავლეებს აზროვნების უნარს უვითარებს, საშუალებას აძლევს, სხვადასხვა მონაცემები ერთმანეთს დაუკავშირონ და დასკვნები გამოიტანონ.

ამ ბლოგზე კიდევ უამრავ სასარგებლო რესურსს ნახავთ, რომლებსაც გაკვეთილზე გამოიყენებთ. 21-ე საუკუნეში, როცა ასე სწრაფად იცვლება და ვრცელდება ინფორმაცია, მხოლოდ წიგნებით ვერ შემოიფარგლები. თვალსაჩინოების გამოყენება გეოგრაფიის გაკვეთილზე საჭიროა. უამრავი ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა და რუკაა სახელმძღვანელოებში, მაგრამ საზოგადოებრივი გეოგრაფიის სწავლების დროს აუცილებელია ინფორმაციის გაცნობა, რომელიც ყოველდღიურად იცვლება. ამ ინფორმაციას სწრაფად და მოხერხებულად სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით მოვიპოვებთ.

ასეთ გაკვეთილზე მოსწავლე მრავალფეროვან გონებრივ (შემეცნებით) აქტივობებშია ჩართული, რაც ხელს უწყობს მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებას.

მეთოდიკა

ქიმიის პედაგოგთა დასახმარებლად

ლია თევზაძე
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

ნარევი
დისპერსიული სისტემა. ნარევის შედგენილობის განსაზღვრა. დაყოფის მეთოდები

დისპერსიული სისტემა („დისპერსია“ – გაბნევა) დისპერსიულ არეში განაწილებული დისპერსიული ფაზისგან შედგება. დისპერსიული ფაზის ნაწილაკების ზომის მიხედვით სისტემა შეიძლება იყოს ჰომოგენური (1ნმ..) ან ჰეტეროგენული (1-100 ნმ). დისპერსიული ფაზა მცირე ნაწილაკებად დანაწევრებული ნივთიერებაა. მაგ. CaCO3-ის ნატეხი არის ნივთიერება არადისპერსიულ მდგომარეობაში. $CaCO_3$-ისა და ქვიშის ნარევი არის დისპერსიული სისტემა.

დისპერსიული სისტემის კონკრეტული მაგალითია ერთმანეთთან შერეული სხვადასხვა ნივთიერების ნარევი. მაგ. კალიუმის ნიტრატის, გოგირდისა და ხის ნახშირის ნარევის შერევით მიიღება ნარევი დენთი. მარილი, გოგირდი და ნახშირი – ამ ნარევის კომპონენტებია.

ნარევში ნივთიერებები ინარჩუნებს თვისებებს, ამიტომ მისი დაყოფის ყველა ხერხი კომპონენტების რომელიმე ფიზიკური თვისების განსხვავებას ეფუძნება.

1.1. მყარი, უხსნადი ნაწილაკების სითხისგან დასაშორებლად გამოიყენება გაფილტვრა – ნარევის ფილტრში გატარება. გაფილტვრისას გამოიყენება ძაბრი – ზემოთ განიერყელიანი და ქვემოთ წვრილმილიანი ჭურჭელი, რომლის ყელში თავსდება ფილტრის ქაღალდი. ფილტრის ქაღალდი ფოროვანი მასალაა და ფორის დიამეტრის მიხედვით არსებობს: წითელლენტიანი – სწრაფი თეთრლენტიანი – საშუალო და ლურჯლენტიანი ნელი ფილტრაციისთვის; გაფილტვრის სიჩქარის გასაზრდელად მზადდება ნაკეცებიანი ფილტრიც. ქაღალდისგან ფილტრის დამზადების წესები მოცემულია სურათზე.

სურათის მიხედვით, აღწერეთ ფილტრის ქაღალდის დამზადების წესი.



1.2. გაფილტვრის ძირითადი წესი.



სურათის მიხედვით ჩამოაყალიბეთ გაფილტვრის სამი ძირითადი წესი.

> სავარაუდოდ:
> 1. სითხე წვეთობით მინის წკირს გააყოლეთ;
> 2. ფილტრის ქაღალდი ძაბრს ბოლომდე არ უნდა სწვდებოდეს;
> 3. ფილტრი შტატივზე დაამაგრეთ ისე, რომ ძაბრის ბოლო მიმღების კედელს ეხებოდეს.

1.3. გადაკრისტალებისას აუცილებელია ნაჯერი ხსნარის ცხლად გაფილტვრა. ძაბრის გასაცხელებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას წყლის ორთქლი (ა) ან ელექტროქურა (ბ). რატომ არის აუცილებელი ცხლად გაფილტვრა? – ნაჯერი ხსნარიდან მყარი ნივთიერება გაფილტვრისას რომ არ გამოკრისტალდეს და მინარევს არ შეერიოს.



1.4. ვაკუუმ გაფილტვრისას გამოიყენება ბუნზენის კოლბაში (1) ჩადგმული ბუხნერის ძაბრი (2). ამ დროს წყლის ონკანთან შეერთებულია ვაკუუმ ტუმბო (4). ბუნზენის კოლბასთან კი მიერთებულია ვულფის ორყელიანი შუშა (3) დამცავად, რომ ვაკუუმმა სითხე არ გადადენოს.



რა უპირატესობა აქვს ვაკუუმგაფილტვრას ჩვეულებრივთან შედარებით?

> უფრო სრულად შორდება ნალექი ფილტრატს.

2. გაფილტვრა ხშირად შერწყმულია კრისტალიზაციასთან. კრისტალიზაცია მყარი ნარევიდან სუფთა ნივთიერების გამოყოფის ხერხია, რომელიც სხვადასხვა ტემპერატურაზე ძირითადი ნივთიერებისა და მინარევის წყალში განსხვავებულ ხსნადობას ეფუძნება. მაგ. მარილი გადაკრისტალებით მინარევებისგან რომ გაასუფთავოთ, ამისთვის მაღალ ტემპერატურაზე მისი ნაჯერი ხსნარი უნდა დაამზადოთ, მიღებული ნარევი ბუხნერის ძაბრში ცხლად გაფილტროთ, ფილტრატი კი კრისტალიზატორში გააცივოთ და დააყოვნოთ. დაყოვნების შემდეგ გამოყოფილი კრისტალები ისევ ბუხნერის ძაბრით გაფილტროთ, სველი კრისტალები ჯერ ფილტრის ქაღალდის ფენებს შორის გააშროთ, შემდეგ საშრობ ღუმელში 100°C-მდე გაახუროთ და მიღებული მარილის სისუფთავე ქიმიური ანალიზით შეაფასოთ.

2.1. აღწერეთ: როგორ განაცალკევებთ სუფრის მარილისა და სოდის მყარ ნარევს.

> მყარ ნარევს გავხსნით მინიმალური რაოდენობის ცხელ წყალში. ნარევს გავაცივებთ ყინულიან კრისტალიზატორში. მარილის ხსნადობა ნაკლებადაა დამოკიდებული ტემპერატურაზე, სოდის ხსნადობა კი – იზრდება ტემპერატურის ზრდით, ხსნარის გაცივებისას სოდა გამოიყოფა ნალექში. ნალექს მოაშორებენ გაფილტვრით. ნაჯერი ხსნარის აორთქლებით მიიღება მარილი.

2.2. ტუტე მეტალების ბუნებრივი მინერალია სელვინიტი – NaCl . KCl აღწერეთ როგორ გამოყოფთ მინერალიდან მარილებს ინდივიდუალური სახით (გამოიყენეთ მარილთა ხსნადობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკი).



გრაფიკიდან ჩანს, რომ NaCl ხსნადობა არ იცვლება ტემპერატურის ზრდისას, KCl-ის კი მნიშვნელოვნად იზრდება. ამიტომ გავხსნით მინერალს მცირე რაოდენობით წყალში, დავამზადებთ ნაჯერ ხსნარს, გავაცხელებთ ხსნარს 70°C-მდე, შემდეგ გავაცივებთ. გაცივებისას KCl გამოკრისტალდება, გავფილტრავთ და ამ პროცესის რამდენჯერმე გამეორებით მარილების განცალკევება მოხერხდება.

2.3. გამოთვალეთ გრაფიკის გამოყენებით, რა მასის KCl გამოკრისტალდება მისი 150გ ნაჯერი ხსნარიდან 70°C-დან 30°C-მდე გაცივებით.

> გრაფიკიდან: 70°C C-ზე იხსნება KCl ^{50} გ/$_{100 \text{ გ}}$ H_2O-ზე, ე.ი. 150გ ხსნარში იქნება 50გ KCl ვთქვათ, გაცივებისას გამოკრისტალდა xგ KCl. მაშინ დარჩენილი ხსნარის მასა იქნება (150 – x)გ. გამოკრისტალებისას ნალექში და დარჩენილ ხსნარში იგივე KCl უნდა დარჩეს.
> ე.ი. 50 = X + (150 – x) · ^{35}/$_{135}$ (^{35} გ/$_{100 \text{ გ}}$ H_2O-ში 30°C ტემპერატურაზე) x = 61გ KCl.

2.4. თუ მყარ ნარევში შემავალი მარილი კრისტალჰიდრატია, მისი გახურებისას გამოყოფილი წყალი იმოქმედებს მარილთან და ნაჯერ ხსნარს წარმოქმნის. შეიძლება ამ ხსნარში მარილმა ჰიდროლიზიც განიცადოს.

კრისტალური სოდისა ($Na_2CO_3 \cdot 10H_2O$) და ფენოლფტალეინის ფხვნილების ნარევი რომ გააცხელოთ, წარმოიქმნება ჟოლოსფერი შეფერილობა. აღწერეთ, რას შეეძლო გამოეწვია ნარევში ასეთი ფერის ცვლილება? მოხდება თუ არა ისეთივე ფერის ცვლილება, თუ სოდის ნაცვლად ნარევში იქნებოდა $CH_3COONa \cdot H_2O$?

> კრისტალჰიდრატში გახურებისას გამოყოფილ წყალში გაიხსნება მარილი და, ამავე დროს, განიცდის ჰიდროლიზსაც. ჰიდროლიზის შედეგად ხსნარი იღებს ტუტე რეაქციას, რის გამოც ფენოლფტალეინი ჟოლოსფერს მიიღებს.
> $CO_3^{2-} + H_2O \leftrightharpoons HCO_3^- + OH^-$
> $CH_3COO^- + H_2O \leftrightharpoons CH_3COOH + OH^-$

3. გამოხდა, ანუ დისტილაცია ერთი ჭურჭლიდან მეორეში სითხის გადადენას ეწოდება. იგი ისეთი თხევადი ნარევის დასაყოფად გამოიყენება, რომელთა კომპონენტების ლღობის ტემპერატურები და აქროლადობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. ნარევის ნივთიერებების თვისებებიდან გამომდინარე, გამოიყენება <u>მარტივი, ფრაქციული, ვაკუუმ და წყლის ორთქლით გამოხდა</u>.

3.1. აღწერეთ სურათის მიხედვით, გამოსახდელი ხელსაწყოს მოწყობილობა. მიუწერეთ ისრებს სახელწოდებები.



3.2. რომელი ნარევის განსაცალკევებლად გამოდგება მარტივი გამოხდა?

> ა. ზღვის მარილიანი წყლიდან სასმელი წყლის მისაღებად (+);
> ბ. სამედიცინო სპირტისა და დიმეთილის ეთერის ნარევის დასაშორებლად (+);
> გ. რას შეცვლით ხელსაწყოს აწყობაში, ბრომბუტანის ნაცვლად, რომელიმე ადვილად აქროლადი სითხე რომ გამოხადოთ? (მიმღებს ჰერმეტულად მივაერთებთ)

დასასრული შემდეგ ნომერში

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე პროფესიონალთა ტრენინგი გრძელდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის ორგანიზებით, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და ევროკავშირის დაფინანსებით, 30 იანვრიდან 4 თებერვლამდე, გაიმართა ტრენინგი არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე განრიდების პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის – პროკურორებისთვის, მედიატორებისა და სოციალური მუშაკებისთვის. სულ გადამზადდა 50 პროფესიონალი.

ტრენინგზე განხილული იქნა განრიდებასა და მედიაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები, აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფცია, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის თავისებურებები საქართველოში, პროგრამის გაფართოების შესაძლებლობები, პროგრამაში ჩართული სხვადასხვა პროფესიონალის როლი და ფუნქციები.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს ამოქმედდა და თავდაპირველად პროექტი საქართველოს ოთხ ქალაქში ხორციელდებოდა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი. დროთა განმავლობაში, პროექტმა საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა და 2013 წლის დასაწყისიდან დანაშაულის პრევენციის ცენტრმა შეიმუშავა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საქართველოს მასშტაბით გავრცელების გეგმა. აგვისტოდან პროგრამა მოქმედებს მთელ საქართველოში. პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე მოხდა 500-ზე მეტი ბავშვის განრიდება მართლმსაჯულების სისტემიდან. პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 160-მდე პროფესიონალი (პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი) მთელი ქვეყნის მასშტაბით. მომდინარე წელს დამატებით 3-4 ტრენინგის ჩატარებაა დაგეგმილი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდამჭერია გაეროს ბავშვთა ფონდი, ევროკავშირი და ნიდერლანდების მთავრობა.

გენდერული დისბალანსი STEM საგანმანათლებლო პროგრამებში

ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა – საქართველო, კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტთან (IPM-Research) თანამშრომლობით, „მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) საგანმანათლებლო პროგრამებში და პროფესიებში მონაწილეობის ბარიერებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების კვლევის“ შედეგების პრეზენტაცია გამართა.

ტექნიკური დარგების პროგრამებში სტუდენტების გენდერული დისბალანსი, რომელიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების გავლენის შედეგია. ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა აღნიშნული კვლევა 2013 წლის ივლისში დაიწყო და საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში მოსწავლეებს, სტუდენტებსა და მათ მშობლებს შორის ჩაატარა. მონაცემების მოპოვება და დამუშავება ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

წარმოებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ განათლების მიღების განმავლობაში, რომელიც სკოლიდან იწყება, ვითარდება და აღწევს დასაქმების ეტაპს, გოგონების აკადემიური მოსწრება და მიღწევები STEM-ის საგნებში, მინიმუმ უტოლდება, ან უსწრებს ბიჭების აკადემიურ მოსწრებას და მიღწევებს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ბიჭებთან შედარებით, უფრო ნაკლები გოგონა აგრძელებს კარიერას STEM პროფესიებში.

რაოდენობრივმა და ხარისხობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ გოგონები ნაკლებად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს STEM-ის საგნებში, ვიდრე ბიჭები. ამას გარდა, პროფესიული სასწავლებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ოჯახის გავლენა კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ მიერ მომავალი პროფესიის შერჩევაში.

მაგდა მაღრაძე, „მილენიუმ საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი: *„აღმოჩნდა, რომ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ გოგონები და ქალები ძალიან მაღალ მისწრაფებას აჩვენებენ ამ მიმართულებებში განათლების მიღების პერიოდში, სამწუხაროდ, უმაღლესი განათლების დონეზე აღარ აგრძელებენ სწავლას, რაშიც ოჯახი, სკოლა და საზოგადოება მხოლოდ ნეგატიურ როლს თამაშობენ. არსებობს სტერეოტიპი, რომ ქალი ნაკლებად წარმატებული შეიძლება იყოს საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, ტექნიკურ, მათემატიკის და სამეცნიერო კუთხით“.*

წარმოებული კვლევით აუცილებელია განისაზღვროს პრაქტიკული გზები იმისა, თუ როგორ შეუძლია ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას, შექმნან მოთხოვნად სფეროებში, ქალების შესაძლებლობების ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევისთვის საჭირო ხელსაყრელი გარემო. აუცილებელი ხდება ხელი შევუწყოთ გოგონების ინტერესების მოტივაციას, რათა მათ განუვითარდეთ საკუთარი თავის რწმენა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის უნარებში. *„კვლევის შედეგებს აუცილებლად გამოვიყენებთ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია განათლების სპეციალისტებისათვის, პოლიტიკის შემქმნელებისათვის. უკვე შეიძლება ამოქმედდეს მექანიზმები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქალბატონების მეტ ჩართულობას მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა თუ მათემატიკის შემსწავლელ დარგებში“* – აცხადებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი.**

ქვეყანაში სამუშაო ძალის განვითარება საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტი საქართველოსთვის განახორციელებს სტრატეგიულ ინვესტირებას როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების განვითარებისათვის. მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ქალებისა და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობაზე STEM საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროფესიებში.

სამუშაო შეხვედრა სასკოლო ასაკის განსაზღვრასთან დაკავშირებით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკის ცვლილებასთან დაკავშირებით, დასკვნითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები განათლების სისტემით დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებს, განათლების ექსპერტებსა და ფსიქოლოგებს შეხვდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევების შედეგები:

❖ *წიგნიერების საერთაშორისო კვლევა* (PIRLS), 2011;

❖ *ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა,* 2012. TPDC. სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი;

❖ *სასკოლო მზაობის კვლევა, 2011.* ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF);

❖ სხვადასხვა ფოკუს ჯგუფებში ჩატარებული კვლევების შედეგები.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომ სასკოლო ასაკი, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, განისაზღვროს 6 წლით. ამასთან, 2014-2015 სასწავლო წელი განისაზღვროს გარდამავალ პერიოდად და სასკოლო ასაკის მქონედ მიჩნეულ იქნენ ბავშვები, რომელთაც 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეუსრულდებათ 6 წელი, ხოლო 2015-2016 და ყოველი შემდგომი სასწავლო წლისათვის სასკოლო ასაკის მქონედ მიიჩნევიან ბავშვები, რომელთაც 6 წელი შეუსრულდებათ სასწავლო წლის დაწყებამდე.

სამუშაო შეხვედრის დასკვნით ნაწილში მომზადდა რეკომენდაცია საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით.

დონორთა პირველი საკოორდინაციო შეხვედრა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA – Georgia) ორგანიზებით, დონორთა 2014 წლის პირველი საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** უძღვებოდა და მასში საქართველოში არსებული იმ საერთაშორისო, დიპლომატიური და დონორი ორგანიზაციების (აშშ საელჩო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო, ევროკავშირი, მშვიდობის კორპუსი, ამერიკული საბჭოები, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), გოეთეს ინსტიტუტი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო საზოგადოება (GIZ), გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD), საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი) წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებიც, სამინისტროსთან ერთად, საგანმანათლებლო პროექტებს ახორციელებენ.



საკოორდინაციო შეხვედრის მიზანი იყო სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ, საქართველოს განათლების სისტემის განვითარების მიზნით, დაფინანსებული პროექტების გაცნობა და ამ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა. შესაბამისად, აღნიშული შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო როგორც დონორებს შორის, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით.

შეხვედრის მასშტაბურობიდან გამომდინარე, დაისახა ერთობლივი სამომავლო გეგმები და პროექტები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეფექტიანი თანამშრომლობის ფორმატზე გადასვლას და საგანმანათლებლო სფეროს გაძლიერებას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დონორების საკოორდინაციო შეხვედრა არ იქნება ერთჯერადი და სისტემურ ხასიათს მიიღებს.

შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი – „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო“, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნა, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (Millennium Challenge Corporation) მეორე კომპაქტს ახორციელებს. აღნიშნული კომპაქტის ბიუჯეტი 140 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს და მისი მიზანია საქართველოში სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ზოგადი, ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების გ ზით.

პროფესიულ კოლეჯებში აგრარული მიმართულების პროგრამები უნდა განვითარდეს შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა. დაინტერესებულ მხარეებს შორის შედგა დიალოგი სოფლის მეურნეობის აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურების დანერგვასა და განვითარებაზე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **დავით გელაშვილი**, UNDP-ისა და SDC-ის წარმომადგენლები, ფერმერთა ასოციაციების, გაერთიანებების, მწარმოებლების, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში მიმდინარეობდა და მოიცავდა პრეზენტაციებს, სამუშაო ჯგუფების დისკუსიებს, შეთანხმებას დამატებითი აქტივობების განსახორციელებლად, შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროფესიული განათლების დანერგვისა და განვითარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამომავლო გეგმები, მიმდინარე აქტივობები და გამოწვევები.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სექტორია და სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროექტები, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიულ სასწავლებლებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ახორციელებს, პარტნიორების – შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

საუბრები ლიტერატურაზე

ყუთში ჩაკარგული ბავშვობა

„ცხოვრება მუჭში მოქცეული წყალივითაა, ხელს რომ უჭერ, თანდათან გეღვრება, გაგირბის“ (გურამ კაპანაძე). ზოგისთვის ცხოვრება რბოლაა, სადაც ერთმანეთს ვეჯიბრებით და ძლიერი სუსტს ჯაბნის, ხანდახან ცირკის არენადაც ქცეულა ეს საწუთრო, ყველანი ჯამგაზეგივით ვიკლაკნებით, რათა მაყურებელი არ გაგვექცეს... პატარა ბიჭის ცხოვრება ერთ მუყაოს ყუთშია მოთავსებული, ჩაკარგული, გაბნეული. სხვებისათვის შეუმჩნეველია ის პატარა ბიჭი, საბნად საზოგადოების გულგრილობა ახურავს და ლეიბად – ჩვენი სისასტიკე. მისი საკვები მოხარშული კვერცხია, ხოლო ფანტაზიის წყარო – წებო და აცეტონი, სიცივესა და შიმშილს რომ აძროებს და სპილოებსა და ანტილოპებს შორის ამოგზაურებს.

ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ (ისწავლება IX კლასში, ავტორი – ვ. როდონაია) ვერცერთ მკითხველს, განსაკუთრებით მოზარდს, ვერ დატოვებს გულგრილს. ნაწარმოების მოკლე შინაარსი ასეთია: პატარა ლტოლვილი თბილისის ძუჩებში ცხოვრობს თანატოლებთან ერთად. დედა, გაღიზიანებული და გალოთებული, სულ ეჩხუბება, ამიტომ სახლიდან გამოიძცევა, ძორწინების ბეჭედს მოპარავს. ერთ-ერთი მეგობრის დაღუპვის შემდეგ (აცეტონის სუნთქვით მოიწამლა), მამის მოსაძებნად გადაწყვეტს აფხაზეთში წასვლას. აღმოჩნდა, რომ მამამ სხვა ცოლი მოიყვანა და ორი ქალიშვილიც შეეძინა. სასოწარკვეთილი ბიჭი ისევ თბილისში ბრუნდება და აგრძელებს წებოთი „კაიფს“, რომლის წყალობითაც აფრიკაში ხშირად „მოგზაურობს“. არ ღირს იმაზე შეჩერება, რომ ადამიანებისათვის რეალობა და მიღმიერი სამყარო ხშირად ენაცვლება ერთმანეთს და უმეტესობისათვის სწორედ ის არარეალური სამყარო უფრო მისაღები და საოცნებოა. თუმცა რა ხერხებით ცდილობენ ამ სამყაროში შეღწევას, საკამათო სწორედ ეს არის. ნაწარმოების პრობლემატიკაზე საუბრისას უპრიანია და მისაღები მოსწავლეებს ინფორმაციის დანაწევრებული სახით მოძიება შევთავაზოთ. უფრო კონკრეტულად, ვასწავლოთ ტექსტიდან იმ სახე-სიმბოლოებზე ინფორმაციის ამოკრება, რომელთა ერთიანობაც ქმნის მოთხრობის ძირითად სიმბოლურ ქარგასა და მთავარ სათქმელს.



ნიშნობის ბეჭედი

ქორწინებისა და ცოლ-ქმრული ერთგულების სიმბოლო ფუნქციას კარგავს ამ ადამიანთა ყოფაში. აფხაზეთი უსაქართველოდ მკერდმოჭრილი ამორძალია (პარალელი შოთა ნიშნიანიძის ლექსთან „აფხაზური კანტატა“), ამიტომ ნიშნობის ბეჭედმა ძალა დაკარგა, ქორწინება გაუქმდა, საქართველო და აფხაზეთი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, დღეს აფრიკაში მოგზაურობა უფრო რეალურია, ვიდრე აფხაზეთში. დედა და მამა – ბავშვისათვის ეს ორი უძვირფასესი ხატება – იმსხვრევა და ადამიანი მარტო რჩება საკუთარ ტკივილთან, განცდებთან, სასოწარკვეთილებასთან.

მოხარშული კვერცხი

ქუჩაში მცხოვრებთა აუცილებელ ატრიბუტად ქცეულა ეზოში დანთებული ცეცხლი, ძველი „პაკრიშკების“ ბოლი, ალუმინის ჯამი, ორი აგური და მოხარშული კვერცხი. აფხაზეთსა და თბილისში მცხოვრებთა ბედი, ამ მხრივ, დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, იქაც დედაბერი მოხარშული კვერცხით უმასპინძლდება ბიჭს. სოციალური ვითარება იქ უარესია, რადგან მოხუცს ხალვის დანახვაზე თვალები უბრწყინდება. კვერცხი, სიცოცხლის საწყისი და დასაბამი, ამ უსახლკარო ადამიანთა ცხოვრებაშიც მაცოცხლებელ როლს თამაშობს, თუმცა გულისტკივილი მაინც ჩნდება, მათი სიცოცხლე განწირულია მარტოსულობისა და ტკივილისათვის.

ყუთში ჩაკარგული ბავშვობა

მუყაოს ყუთი, რომელიც ელიავას ბაზრობაზე „დაითრიეს ბიჭებმა“, მათი სამყაროა, ყუთში ძილი ფუფუნებაა იმათთვის, ვისაც ქუჩაში ცხოვრება მიუსაჯეს ადამიანებმა. საზოგადოებამ ისინი გარიყა, მათი ადგილი არ დარჩა არსად და ყუთმა შეიფარა, გამოზარდა მათი უიღბლო ბავშვობა. ერთნი ყუთში იძინებენ, როცა სხვები ფუნთუშასა და კაკაოს შეექცევიან საუზმედ მირთმეულს ლოგინში. არადა წუპაკას, გოშკასა და ბიჭსაც ჰქონდათ ერთ დროს ოჯახი, ჰყავდათ მშობლები, მაშინ ტელევიზორის ყურება ერჩივნათ ძილს. მერე ომის მანქანამ გადაუარა მათ სახლ-კარს, ოჯახს, სულს, სხეულს და დატოვა ისინი ყუთების ანაბარა. ჩვენ მოგვატყუეს, ჩვენ მაშინ დავმარცხდით, როცა ჩარჩი გავიბატონეთ სულში, როცა ვძარცვეთ ერთმანეთი აფხაზებმაც და ქართველებმაც, მოსაკლავად გავიმეტეთ ერთურთი სხვისი ჩაგონებითა და ხელშეწყობით (გურამ ოდიშარია, „სოხუმში დაბრუნება“). მთავარსარდალიც, ოფიცერიც, ჯარისკაციცა და უბრალო ადამიანიც – ყველა დამნაშავე ვართ აფხაზეთისა და საქართველოს წინაშე. სანამ დროა, უნდა გამოფხიზლდეთ, ბოდიში მოვუხადოთ ერთმანეთს, ცასა და ზღვას. ვაპატიოთ, თუკი როდისმე რაიმე ვაწყენინეთ ვინმეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ბავშვები, ომისგან დამახინჯებული არსებები, ოდესმე აუცილებლად გამოძვრებიან მუყაოს ყუთიდან და საზოგადოებას იქ გატარებული წლების გამო პასუხს მოსთხოვენ (გია არგანაშვილი).

ზღვა და ბედნიერი ბავშვობა

თოლიები, თეთრი სეინერი, თეთრქაფმოგდებული ტალღები, ზღვის სუნი, კელასურის პლაჟი... ბიჭის მოგონებებში ჯერ კიდევ ცოცხლობს ეს ბედნიერი და უდარდელი ხანა. მშობლიური ქალაქისკენ მიმავალს ისე უხარია, *„თითქოს როგორც კი მის ტალღებს დაინახავს, მაშინვე ყველაფერი შეიცვლება და ის უზრუნველი დრო დაბრუნდება“.* ცდუნება დიდია, თუმცა ზღვამაც, ისევე როგორც ქალაქმა, გაუცრუა ბიჭს იმედები, უზარმაზარი, ტალღებჩამუქებული ზღვა შემზარავი ღრიალით დახვდა სამშობლოში სტუმრად დაბრუნებულ შვილს. *„თითქოს გზა ამებნა და* ***სხვა ქვეყანაში ჩამოვედი,*** *კრიჭაშეკრული და იმედგაცრუებული ვუყურებდი“.*

წუპაკა და გოშკა

მეგობრობა და თანადგომა არც ქუჩური ცხოვრებისათვის უნდა იყოს უცხო ხილი. ამ ბიჭებმა კარგად იციან ერთად დგომის ფასი. წუპაკა ასწავლის ბიჭს „იოლად გათბობის ხერხებს“, ხოლო გოშკა ურჩევს, როგორ დაუძვრეს ხელიდან აფხაზებს მუნჯური ლაპარაკით. მაგრამ წუპაკას დაღუპვის შემდეგ ბიჭს შიში იპყრობს, მას არ დაბრალდეს მეგობრის სიკვდილი და გარბის იქიდან. დასახმარებლად გოშკას მიმართავს, რადგან გოშკამ ყველაფერი იცის და ისიც ეცოდინება, ტყვარჩელში როგორ უნდა ჩავიდეს. გოშკას მიერ ორი ლარის მოთხოვნა (რჩევის საფასურად) უსამართლობად აღიქმება, თუმცა ბიჭი ასე არ ფიქრობს: *„ლარი მივეცი, ეკუთვნოდა და იმიტომ“.* მკითხველს ებრალება ნაწარმოების დასაწყისშივე სასიკვდილოდ გაწირული პერსონაჟი, წუპაკა, მაგრამ ფინალში, როცა პატარა ბიჭსაც იგივე ბედი ელის, წუპაკას ტრაგედია უკვე იჩრდილება.

შიში

შიში, როგორც პერსონაჟი... დიახ, პერსონაჟია იგი მოთხრობაში, რადგან შიშის დაძლევა პატარა ბიჭის მიერ, იმის გაკეთება, რასაც ბევრი დიდი ვერ ბედავს, მამის მოსაძებნად ტყვარჩელში წასვლა – არის ბრძოლა შიშველი ხელით იმ ბოროტებასთან, რომელსაც ჰქვია ომი, გულგრილობა, სისასტიკე. სიკეთეს, სიყვარულსა და სათნოებას თუ დავუპირისპირებთ შიშს, იგი უკან დაიხევს ჩვენს არსებაში და დათრგუნულ, დაშინებულ საზოგადოებასაც გამოვაფხიზლებთ. ამისათვის უნდა შევძლოთ ის, რაც შეძლო პატარა ბავშვმა – კლდის ქიმზე ავიდა, გადმოსახტომად მოემზადა და, რადგან უკანდახევა საშინელი სირცხვილი იყო, აფხაზ „ბოევიკებსა“ და რუს მესაზღვრეებს უშიშრად გაუსწორა თვალი. თუმცა მანამდე იყო მერყეობა, ბევრჯერ გაქცევაც დააპირა შუა გზიდან, *„რაც უფრო ვუახლოვდებოდით ენგურს, მით უფრო მეტად მიპყრობდა შიში“,* აფხაზურ ოჯახში შესვლამდე *„შიშისაგან თმამ შმაშური დამიწყო“*, მაგრამ ბიჭმა სძლია შიშს, რაც ვერ შეძლო მამამისმა (ამ ნაწარმოების საფუძველზე გიორგი ოვაშვილის მიერ გადაღებული ფილმი „გაღმა ნაპირი“ იძლევა ასეთი ინტერპრეტაციის საშუალებას: ფილმის ფინალში მამამ თითქოს იცნო შვილი, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაბედა).

ნაცრისფერისა და შავ-თეთრის მოზაიკა

ფერადოვნებითა და მყვირალა ფერებით არ გამოირჩევა მოთხრობა, არც მისი პერსონაჟები არიან ეპითეტებითა და შედარებებით დაზვინულნი, ჭარბობს რუხი, ნაცრისფერი, მუქი, შავ-თეთრი, რადგან ომმა ყველაფერს ფერი შეუცვალა, სახე დაუკარგა, ერთფეროვანი გახადა. თუმცა დედის თვალებზე საუბრისას აშკარაა ავტორის გულისტკივილი: *„დედაჩემს ადრე ცალი თვალი ცისფერი ჰქონდა, მეორე – მწვანე, ამას თითქოს ამაყობდა. ახლა ორივე გაუნაცრისფრდა, ერთი ფერის გაუხდა“.* ზღვამაც იცვალა ფერი, ქვეყანამ და ადამიანებმა რომ ფერი იცვალეს, მასთან ერთად ზღვაც, ეს ცისფერი სათნოება, გამუქდა, განაცრისფრდა თითქოს ბავშვის წარმოდგენაში. მანაც უღალატა, მიატოვა და გული დასწყვიტა.

დაური და ზიტა

აფხაზეთი და საქართველო უცხო ხელმა დააშორა ერთმანეთს, მოგლიჯა დედის მკერდიდან შვილი და უცხო გახადა ისინი ერთმანეთისათვის, თორემ მოხუცი დედაბერი, მისი დისშვილი გივი, დაური და ზიტა მოწმობენ, რომ მათ არც ქართული ენა დავიწყებიათ, არც სტუმარმასპინძლობის ადათს ღალატობენ და არც სისხლისმსმელი ჯალათები არიან, როგორც ამას შთააგონებდნენ ქართველებს. თბილისში უფრო ცივად ექცევიან ქართველები საბრალო დევნილს, ვიდრე აფხაზეთში უცხო ადამიანები. აქ მათ პოლიცია დასდევს დასაჭერად, გამვლელებიც ხშირად წიხლს უთავაზებენ, დეიდა მანანასა და მისნაირების მიერ გაწეული ერთჯერადი სიკეთე კი პასიური მადლია, უქმია, რადგან ამ ბავშვების ცხოვრებას ვერ ცვლის. ამ ფონზე აფხაზთა მიერ ქართველის გადარჩენა (რუსი მესაზღვრეებისგან დახსნა), შეკედლება და ცხელ-ცხელი ხაჭაპურები უფრო ღირებული ხდება. ბიჭი დარწმუნდა, რომ ამქვეყნად სიკეთეც არსებობს, მანამდე კი ფიქრობდა, რომ „ბოროტი ხალხი უფრო მეტია, ვიდრე კეთილი“.

გაჩერებული საათი და გერასიმე

აფხაზეთის ომის მონაწილეებისათვის თითქოს დრო გაჩერდა, სახლს კარები აქვს ჩამოხსნილი, სახლში ნაპოვნი საათამაშო, ნაჭრის დათუნია გერასიმე დაგლეჯილია, მარო ბებიასთან ნანახი საათი გაჩერებულია – ეს ყველაფერი ახსენებს ბიჭს, რომ ოდესღაც იყო ბავშვი და ჰყავდა ოჯახი. ომმა მარტო სახლები და ქალაქები კი არ დაანგრია და გაანადგურა, ადამიანთა სულებიც დაასახიჩრა და დაამახინჯა. რაც მთავარია, ეს ტრაგედია არ დასრულებულა, დღემდე გრძელდება და არც დასრულდება, სანამ პატიებასა და შერიგებას არ ვისწავლით.

სულ გოლოს ორი გიენაც მოვიდა...

ასე მთავრდება სასტიკი ფინალი მოთხრობისა. სიკვდილი გარდაუვალია, მასაც წუპაკასა და გოშკას ბედი ელის, როგორც ბევრ სხვა გაუბედურებულ მოზარდს, თუკი ცხოვრების ამ წესს გააგრძელებენ. საზოგადოება უნდა შეიცვალოს, მართალია, შერიგებასა და პატიებას დრო სჭირდება, მაგრამ ამ დროს ეწირება უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე. „იმ ღამით უამრავი ცხოველი მოვიდა...“ – მათ შორის გიენა ყველაზე სასტიკი და ულმობელია, იგი ნასუფრალით იკვებება და დაუნდობლად ძიძგნის ლეშს. იქნებ ჩვენც ასევე ვექცევით უპატრონო, მიუსაფარ ადამიანებს, როცა მათ ვერაფრით ვეხმარებით და ვწირავთ ქუჩის ცხოვრებისათვის?!

საბრალო ანტილოპა

საბრალო ანტილოპა, მისი სული დაძიძგნეს და ხორცი დაფლითეს ლომებმა, სვავებმა, გიენებმა... მაინც არ ეპუება ჯუნგლების სასტიკ კანონებს, არ უშინდება გულგრილობასა და შიშს, რომელიც ყველა დანარჩენი ცხოველის სულშია გაბატონებული. იბრძვის, როგორც შეუძლია, იბრძვის დედისა და მამის ნაცვლადაც, არ გაბოროტდა, არც შური და ბოღმა ჩაიდო გულში... საბრალო ანტილოპა...

ქეთი ქათამაძე
144-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა
და ლიტერატურის პედაგოგი

მშობელთა კრება

უკმაყოფილება საკუთარი თავით

ჩემი გოგონა გარდატეხის ასაკშია. როგორც ბავშვების უმრავლესობა ამ დროს, ისიც მეტისმეტად კრიტიკულად უდგება საკუთარ გარეგნობას, თითქმის არაფერს ჭამს, გახდომა სურს. მაღელვებს მისი ჯანმრთელობის ამბავი. როგორ გადავარწმუნო?

გარდატეხის ასაკში მოზარდების უმეტესობა სილამაზის მოდურ ეტალონებს ადარებს თავს და, სამწუხაროდ, ხშირად აღმოაჩენს, რომ სასნორი მათ სასარგებლოდ არ იხრება. ზოგიერთი მოზარდი ათას ნაკლს აღმოუჩენს ხოლმე საკუთარ თავს, – რეალურია ისინი თუ გამოგონილი, ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ამ პერიოდში მშობლები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, ძალზე ტაქტიანად მისცენ შენიშვნები გარეგნობის თაობაზე.

ბავშვს სურს, თუნდაც მშობლების თვალებში ამოიკითხოს, რომ ის ლამაზია, სიყვარულის ღირსია, რომ შეიძლება გარშემო მყოფებს მოსწონდეთ. სამწუხაროდ, მშობლებში ჯერ კიდევ დამკვიდრებულია შეხედულება, თითქოს „ზედმეტი“ სითბო ბავშვს აყოყოჩებს. მათ ავიწყდებათ, რომ სამართლიანი, კეთილი, თანაგრძნობით სავსე დამოკიდებულება მოზარდს ეხმარება, ირწმუნოს საკუთარი თავის. არსებობს მოშლილობა, რომლის თაობაზეც მეცნიერებსაც კი არ აქვთ საერთო აზრი. ამ დაავადებას ფსიქიკურ ანორექსიას უწოდებენ. დაავადების არსი ის არის, რომ მოზარდ ასაკში გოგონები თავს ანებებენ ჭამას (მსუქანი და გამხდარი ქალის უპირატესობებზე უხსოვარი დროიდან დავობენ, მაგრამ ეს მეტწილად გემოვნების საქმეა). სიგამხდრის ჟინი უფრო და უფრო მძლავრობს. უჭმელობისაგან დაავადებული გოგონა თანდათანობით უძლურდება, იკლებს 10-15 კილოგრამს. ზოგიერთს ესმის, რომ თუ ასე გაგრძელდა, იგი შეიძლება დაუძლურდეს და მოკვდეს, ამიტომ თავს ძალას ატანს, რომ ჭამოს, მაგრამ კუჭი უკვე გადაჩვეულია საკვების მიღებას, იწყება პირღებინება, წონის კლებაც გრძელდება. თუ ასეთ ავადმყოფს დროულად არ ვუმკურნალეთ, შეიძლება ხელიდანაც გამოგვეცალოს. მედიკოსები დიდხანს ეძებდნენ ამ ავადმყოფობის მკურნალობის ოპტიმალურ ხერხებს: აძლევდნენ პაციენტებს მადის გამაძლიერებლებს, ძალით კვებავდნენ და ა.შ. ეფექტი არ იყო. მაშინ მათ თითოეული პაციენტის პიროვნების შესწავლა დაიწყეს. როცა არ იცნობ კონკრეტულ პიროვნებას, არ იცი, რითი საზრდოობს იგი, რა აწუხებს, შეუძლებელია ადეკვატური მკურნალობა დაუნიშნო. ბევრი გოგონა, რომელსაც მომავალში ასეთი ავადმყოფობის საფრთხე ემუქრება, უკვე 10-12 წლის ასაკში ამჟღავნებს ზედმეტ პატივმოყვარეობას, გულცივობას, რაციონალურობას და ხასიათის სხვადასხვა მამაკაცურ თავისებურებებსაც კი. გოგონები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ფსიქიკური ანორექსიისადმი, როგორც წესი, ინტელექტუალურად განვითარებული, დადებითი პიროვნებები არიან. მათში ყველაფერია, გარდა ქალურობისა, სინაზისა, ემოციურობისა. როდესაც ისინი აღმოაჩენენ, რომ მათი ქალური არსი იფურჩქნება, გამალებით ებრძვიან მას, მერე კი უკვე აღარ შეუძლიათ, ექიმის დაუხმარებლად დაანებონ თავი ამ უაზრო ბრძოლას. ზოგიერთი მათგანი ქალურ ფორმებს სიკვდილს ამჯობინებს – სავსე მკერდი და თეძოები მათი გაგებით სიმსუქნეა. უბედურება ის არის, რომ ავადმყოფობა ნელ-ნელა იწყება, პირველ ხანებში მას ფსიქოლოგიური ახსნა აქვს და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ხშირად საქმე შორს მიდის. გოგონებს შიმშილისგან გული მისდით. როცა მშობლებს ისინი ექიმთან მიჰყავთ, უმეტესად უკვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ხვდებიან, ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე არიან. მრავალი დედა უმეცრებას ამჟღავნებს, როცა გოგონას შიმშილის საშუალებას აძლევს. ძნელია დაადგინო ზღვარი, რომელიც ნორმალურ შიმშილობას ავადმყოფურისაგან განასხვავებს. დიეტა და შიმშილობა მხოლოდ გამოცდილი სპეციალისტის მეთვალყურეობით შეიძლება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ადამიანი, რომელიც ყურად არ იღებს ასეთ გაფრთხილებას. ბიჭები და გოგონები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ფსიქიკური ანორექსიისკენ, პიროვნულად თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ისინი ყოველთვის „მართლები“ არიან, არ გააჩნიათ იუმორის გრძნობა, მიდრეკილება აქვთ სქემატური აზროვნებისკენ. ყოველივე ეს ბავშვობიდან იწყება და ბევრი რამ ამ შემთხვევაში მშობლებზეა დამოკიდებული. ზოგიერთი დედა, რომელიც ვაჟიშვილზე ოცნებობდა, ლამის სკოლამდელი ასაკიდანვე უნერგავს გოგონას, რომ ქალად ყოფნას მამაკაცად ყოფნა სჯობია, რომ ქალი ცხოვრებაში კარგს ვერაფერს ნახავს. დედის ამგვარი დამოკიდებულება ქალიშვილის არსებაში ბადებს მისი ბიოლოგიური დანიშნულებისადმი აშკარა ან ფარულ ზიზღს, ამას კი შეუძლია ფსიქიკის მძიმე მოშლილობა გამოიწვიოს. მნიშვნელოვანია, დროულად გავამხნევოთ ბავშვი, ჩავუნერგოთ მას საკუთარი თავის რწმენა, გადავლახოთ საკუთარი გარეგნობის მიმართ მისი ზედმეტად კრიტიკული დამოკიდებულება. თითქმის ყველა მოზარდი, განურჩევლად იმისა, როგორ გამოიყურება სინამდვილეში, კრიტიკულად აღიქვამს საკუთარ თავს. მოზარდებს, საერთოდ, ახასიათებთ მეტისმეტი კრიტიკულობა, მაქსიმალიზმი. მთავარია, ამ თვისებებმა დამახინჯებული ფორმა არ მიიღოს. თუ მოზარდი ასეთ აზრებს თავს ვერ აღწევს, აუცილებელია ექიმისა და ფსიქოლოგის ჩარევა. ეს მოშლილობა წარმოშობითა და ზოგადი კლინიკური გამოვლინებით ახლოს დგას ფსიქიკურ ანორექსიასთან. მას დისმორფომანიას, ანუ საკუთარი გარეგნობის არასწორად აღქმის ბოდვას უწოდებენ. დისმორფომანია შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი სქესის ადამიანს, მაგრამ უფრო ხშირად მამაკაცებში შეიმჩნევა. ისინი განიცდიან შეუცნობელ შიშს, ეჩვენებათ, რომ რაღაც ცუდი ემართებათ, რომ რაღაც საბედისწერო გარდატეხა ხდება მათში. ყოველივე ეს ემთხვევა ძლიერ ფსიქოლოგიურ და ჰორმონულ ცვლილებებს, რაც მოზარდი ასაკისთვის ნიშანდობლივია და ამიტომ ბევრ მშობელს ჰგონია, რომ ცუდი არაფერი ხდება, ყველაფერი გაივლის და ყურადღების გამახვილება არ ღირს. ეს შეცდომაა, მშობელს დიდი სიფრთხილე მართებს. ასეთი პაციენტები დაჟინებით აკვირდებიან საკუთარ თავს, ძველ ფოტოსურათებს იმ მიზნით, რომ გაარკვიონ, რა მოხდა, რატომ შეეცვალათ გარეგნობა (ცხადია, მხოლოდ მათსავე თვალში). ამრიგად, მოზარდის მთელი ცხოვრება ემორჩილება მწუხარე განცდებს: ცხვირი, ყურები, პირი და სხეულის დანარჩენი ნაწილები მახინჯად ეჩვენება, აქვს განცდა იმისა, რომ გარშემო მყოფებში უსიამოვნო განწყობას იწვევს, ხდება ეჭვიანი, მძიმე ხასიათისა, ყველაფერი ადვილად სწყინს. მხოლოდ მშობლების უსაზღვრო სიყვარულსა და მოთმინებას შეუძლია შეარბილოს ეს განცდები. არცთუ იშვიათია, რომ უფროსების უტაქტობის, გულგრილობისა და უადგილო ირონიის გამო მოზარდი საბოლოოდ კარგავს საკუთარი თავის, ადამიანების, მომავალი ცხოვრების რწმენას, ამან კი შეიძლება დიდ განსაცდელში ჩააგდოს, ამიტომ აუცილებელია, ამ დროს იყოთ ფაქიზი, ყურადღებიანი საკუთარი შვილის მიმართ

მშვენიერებისკენ სწრაფვა

იმისათვის, რომ ისწავლოს სილამაზისა და მშვენიერების შეფასება, პატარა ადამიანს ესაჭიროება შთაბეჭდილებათა დაგროვება, მხედველობითი და სმენითი შეგრძნებები. ამას კი მრავალი წელი სჭირდება, რისთვისაც აუცილებელია ადრეული ასაკიდან განვითარდეს ემოციურობა და ცნობისმოყვარეობა. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ესთეტიკის სწავლა ისეთივე მეთოდებით შეიძლება, როგორითაც კითხვის ან ხატვის, და რომ უნდა გამოიყოს სპეციალური დრო საამისოდ მოსამზადებლად.

სილამაზისა და მშვენიერების შეგრძნება ბავშვში ვითარდება სტიქიურად იმ ყოფითი სიტუაციებიდან, სადაც მას ყოფნა უხდება ან მოულოდნელად ხვდება. ოთახის ინტერიერი, ხედი ფანჯრიდან, მოსმენილი ზღაპრის არსი, სიმღერები, ტანსაცმლის სტილი და ა.შ. – ყველაფერი ეს ბავშვის მიერ ორ დიდ ჯგუფად განაწილდება: „რა არის კარგი?“ და „რა არის ცუდი?“

მხატვრობა

როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვს, რა არის სახვითი ხელოვნება? როგორ გამოვუმუშაოთ მას ფერისა და კომპოზიციის გრძნობა, სივრცითი აზროვნება და წარმოსახვა? ამისათვის საჭირო გახდება არა იმდენად ის, რომ ბავშვი სილამაზის გარემოცვაში გვყავდეს, არამედ მივაჩვიოთ იმას, რომ სილამაზე ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საგნებში დაინახოს და აღმოაჩინოს.

მაგალითად, „დათუნია“ შოკოლადის შესაფუთ ქაღალდზე ცნობილი მხატვრის შიშკინის პეიზაჟი „დილა ფიჭვის ტყეში“ მისთვის მხოლოდ კანფეტის ქაღალდია. გაივლის წლები, სანამ თქვენი ტკბილეულის მოყვარული პატარა სულიერი საკვების შეფასებას ისწავლის. სწავლება ანაბანადან უნდა დაიწყოთ: ბავშვი უნდა გაეცნოს ფერს, ფორმას, ზომას, საგნების სივრცით განლაგებას.

მიეცით საშუალება მის პაწაწინა და გამოუცდელ ხელებს გააფერადოს, გამოჭრას, გამოძერწოს და დაქარგოს. ამის შემდეგ უკვე პატარა ოსტატი ზუსტად შეიგრძნობს შემოქმედებისკენ სწრაფვას, რაიმეს შექმნის მოთხოვნილებას.

მუსიკა

მუსიკის ესთეტიკა ხელოვნების სხვა სახეთა შორის ალბათ ყველაზე საკამათოა. მუსიკის აღქმის მოჩვენებითი სიიოლისა და სიმსუბუქის მიუხედავად, ადამიანები მუსიკალური გემოვნებითა და არჩევანით ძლიერ განსხვავებულები არიან (ალბათ, ვერავის დატოვებს გულგრილს ბეთჰოვენის „მთვარის სონატის“ ან ვივალდის „წელიწადის დრონის“ ჰანგები). ასეთი გამონათქვამიც არსებობს: „მითხარი, როგორ მუსიკას უსმენ და გეტყვი, ვინ ხარ შენ!“ თუ არ გსურთ, რომ თქვენი შვილის ნაცნობობა კლასიკურ მუსიკასთან მხოლოდ მობილური ტელეფონის რინგტონით შემოიფარგლოს, აქედანვე შეეცადეთ გაუღვივოთ მას ინტერესი ცოცხალი ბგერისადმი. რა თქმა უნდა, 3-4 წლის ასაკში სიმფონიური მუსიკის კონცერტზე წაყვანა ნაადრევია, მაგრამ ამისათვის მომზადება შორიდან უნდა დაიწყოთ. პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია სმენის გამომუშავება. თუ პატარამ უკვე იცის და ახერხებს მუსიკალური სათამაშოების ჟღერადობის გარჩევას, შეიძლება გააცნოთ მას მუსიკალური ინსტრუმენტები: რომელი როგორ ბგერებს გამოსცემს, რომელს როგორი ფორმა აქვს და რა მასალისგან არის დამზადებული, შეადარეთ ერთმანეთს მაღალი და დაბალი ბგერები, განსაზღვრეთ სმენით მელოდიის სისუფთავე ან შემსრულებლის ხმის სილამაზე. მოგვიანებით აუცილებელია ასწავლოთ ბავშვს ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი მუსიკის ხასიათისა თუ ჟანრის თაობაზე. ამისათვის საჭირო გახდება უამრავი ნაწარმოების მოსმენა, მათი შედარება ადრე მოსმენილთან. გამოყოს ბავშვმა ის ნაწარმოებები, რომლებიც მას ყველაზე ძალიან მოეწონა, ასწავლეთ მისი შინაარსის ახსნა და გადმოცემა. თქვენი ძალისხმევისთვის კი ყველაზე დიდი ჯილდო იქნება პატარა მელომანის მოთხოვნილება მოისმინოს კარგი მუსიკა.

ცეკვა

ქორეოგრაფიის მთავარი ამოცანაა – აღუძრას მაყურებელს აღფრთოვანებული ტკბობა გრაციოზული მოქმედებისადმი და გამოიწვიოს მასში საპასუხო ექსპრესიულობა. მაგრამ ამის მიღწევა არც ისე ადვილია. მაგალითად, ცნობილი მულტფილმის გმირმა ჩებურაშკამ ვერაფრით ისწავლა მარშირება და მწყობრად სიარული, ცეკვაზე რომ არაფერი ვთქვათ. თქვენმა პატარამ შეიძლება კიდევ ცოტა ხანს იწვალოს, მაგრამ ცეკვის სასწავლად პირველი ნაბიჯები ადრე გადადგას. დასაწყისისთვის, სთხოვეთ მიბაძოს მოქანავე ხარს, ბაჯბაჯა დათუნიას, ხტუნია ყურცქვიტას... ასე აითვისებს ელემენტარულ ილეთებს. ხოლო იმისათვის, რომ ცეკვის მოძრაობების ათვისებისას „ქუსლი-წვერი-ტაში-ტრიალი“ არ გახდეს მექანიკური, მიეცით ბავშვს აუცილებელი ინსტრუქცია: „უსმინე მუსიკას, ის გიკარნახებს, როგორ იმოძრაო რიტმულად, ტაქტში“. გაიხსენეთ საკუთარი თავი ბავშვობაში, მუსიკის ხმაზე როგორ „გარდაიქმნებოდით“, როგორ ამოძრავებდით ცხენის კუდივით შეკრულ თმას, აქნევდით ხელებს ფრინველის ფრთების მსგავსად, როგორც „მომაკვდავი გედი“ ან ტრიალებდით ვალსის ტემპის შესაბამისად, აკეთებდით „მერცხალს“... სწორედ ასე ხდება სხეულის პლასტიკის საშუალებით თვითგამოხატვისადმი ლტოლვის ჩამოყალიბება. ფსიქოლოგები თვლიან, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უნარი ჩასწვდეს და აღიქვას ხელოვნების ყველა სახე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა მივცეთ საშუალება ბავშვს გაეცნოს ყველა მათგანს. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ სრულფასოვან ესთეტიკურ აღზრდაზე. გვერდიდან უფრო თვალსაჩინოა – თუ საბავშვო ბაღის მუსიკალური ხელმძღვანელი გეუბნებათ, რომ თქვენს გოგონას ნამდვილად აქვს მუსიკალური მონაცემები და ცეკვის ნიჭი, აუცილებლად გაითვალისწინეთ, ადრევე მიეცით ნიჭს განვითარების საშუალება; მართალია, თქვენ არ ხართ ხელოვნებათმცოდნე – თუ თქვენი პატარა ხატვას ცდილობს, თქვენი ყოველი შენიშვნა ნახატებთან დაკავშირებით უნდა იყოს ემოციური; საშინაო კონსერვატორია – ოპერის მოსმენა ან ბალეტის ყურება – მთელი მეცნიერებაა. დაწყება აუცილებლად საბავშვო სპექტაკლებით უნდა მოხდეს.

ნანა კალანდაძე
საიტიდან mkurnali.ge

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - ედგარ დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - დიეგო ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - ოგიუსტ რენუარი

ერთი ცალის ფასი – 6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური საკრავები
4. ძვეწარმავლები საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუნთოვანი სისტემა
7. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
8. ძველი რომი
9. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამყაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი – 3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-V ტომი, – 11 ლარი
❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I-VII ტომი – 11 ლარი
❖ ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I-VI ტომი – 12 ლარი
❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჩულე
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით ალმაშენებელი
25. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი – 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

რა არის რა

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 9 ლარი

„დიოგენე“ გასაყიდი

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ახალი განათლება

მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >